

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, №5

## სასარჩელო წარმოება

### საძიებელი

1. გადაწყვეტილების შინაარსი
2. უსწორობის გასწორება (კერძო საჩივარი)
3. დამატებითი გადაწყვეტილება
4. გადაწყვეტილების განმარტება
5. განჩინების აღსრულების გადადება
6. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა
7. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

# 1. გადაწყვეტილების შინაარსი

## განჩინება

1ას-334-311-2010

24 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ქონების გაყოფა

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 27 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. მ-მემ მოპასუხე დ. ი-ოვის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მასა და მოპასუხეს შორის ქორწინების შეწყვეტა, მოპასუხისათვის ალიმენტის – 300 ლარის დაკისრება და მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა.

მოპასუხე დ. ი-ოვმა სარჩელი ცნო ქორწინების შეწყვეტის ნაწილში, ალიმენტის დაკისრების ნაწილში სარჩელი ცნო ნაწილობრივ, ხოლო ქონების გაყოფის ნაწილში არ ცნო იმ საფუძველით, რომ აღნიშნული ქონება წარმოადგენდა მის ინდივიდუალურ საკუთრებას და იგი არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო თანასაკუთრებად. მისი განმარტებით, სადავო ქონება შეძენილია ნათესავების მიერ ნაჩუქარი თანხებით. ამასთან, ეს ქონება მან გაასხვისა და არსებობდა კეთილსინდისიერი შემდეგნი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ხაშურში, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ მ. მ-მესა და დ. ი-ოვის შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, დ. ი-ოვს დაეკისრა შვილის – 2008 წლის 21 სექტემბერს დაბადებული მ. ი-ოვის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 70 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2009 წლის 27 ოქტომბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე; მ. მ-ის სარჩელი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. მ-მე და დ. ი-ოვი 2005 წლის 10 ოქტომბრიდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში;

მეუღლეებს შორის ოჯახის აღდგენა შეუძლებელია;

მხარეთა შორის საქორწინო ხელშეკრულება დადებული არ ყოფილა;

მ. მ-მესა და დ. ი-ოვს ერთად ცხოვრების პერიოდში – 2008 წლის 21 სექტემბერს შეეძინათ შვილი, მ. ი-ოვი. არასრულწლოვანი შვილი ცხოვრობს დედასთან;

მ. მ-მე არ მუშაობს და ზრდის მცირეწლოვან შვილს;

რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში – 2007 წლის 15 იანვარს დ. ი-ოვის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 15 000 ლარად შეძენილ იქნა თბილისში, ... ბინა 118, რომელიც საჯარო რეესტრში აღირიცხა დ. ი-ოვის სახელზე და ავტომანქანა;

სადავო უძრავი ქონება დ. ი-ოვმა 2009 წლის 22 ოქტომბერს გაასხვისა მ. შ-შვილზე, ხოლო ავტომანქანა – მ. მ-მეზე;

2006 წლის დასაწყისში მხარეები გაემგზავრენ საბერძნეთში სამუშაოდ.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ქონება წარმოადგენდა მის ინდივიდუალურ საკუთრებას, რამდენადაც დ. ი-ოვმა ვერ წარადგინა აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რისი ვალდებულებაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლიდან გამომდინარე, მას გააჩნდა. სასამართლოს მოსაზრებით, ამგვარი სახის მტკიცებულებად მოპასუხის მიერ საქმეზე წარდგენილი დოკუმენტები ვერ მიიჩნეოდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინდად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელი იყო, რის გამოც სარჩელი ქორწინების შეწყვეტის თაობაზე დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეთა რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით არასრულწლოვანი ბავშვის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში ალიმენტის გონივრული და სამართლიანი ოდენობა, რომელიც მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა, შეადგენდა 70 ლარს.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას სადავო ქონების 1/2-ის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, საქალაქო სასამართლომ დასახელებულ ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

მართალია, მ. მ-მე წარმოადგენდა სადავო ქონებების თანამესაკუთრეს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მისი წილი სადავო ქონებიდან გაასხვისა მოპასუხემ და აღნიშნული ქონება ამ დროისათვის წარმოადგენდა

სხვა პირის საკუთრებას ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო მხარეს ამ ხელშეკრულების ნამდვილობა სადავოდ არ გაუხდია. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა კი შესაძლებელი იყო გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ი-ოვმა (წარმომადგენელი ლ. ჩ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ, კერძოდ, იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც საქალაქო სასამართლომ დადგენილად ცნო ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ სადავო ქონება წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას და მითითებულ ნაწილში ამ ქონების დ. ი-ოვის ინდივიდუალურ საკუთრებად ცნობა.

აპელანტმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მსჯელობას სადავო ქონების მისი და მ. ძ-ძის თანასაკუთრებად აღიარების ნაწილში, რადგან ამასთან დაკავშირებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და გამოკვლეული იყო არასათანადოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით დ. ი-ოვის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის 2010 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას. სასამართლოს ეს დასკვნა დაეფუძნა შემდეგ მოტივებს:

I. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს, არ შეუძლიათ, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

კანონის დასახელებული ნორმის შეფასება იძლევა შემდეგი დასკვნის საფუძველსაც: გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი;

II. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თავისი არსით წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ამდენად, პირი სარჩელის შეტანის გზით იცავს თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმავდროულად იწვევს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია;

III. სასამართლოს გადაწყვეტილებით სამართლებრივი წესრიგის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით, აღსასრულებლად წარიმართება მხოლოდ სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას («სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონის 21-ე მუხლი);

IV. სასამართლო გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებულ ყველა ნაწილს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი) და რომელიმე მათგანის სათანადოდ ან საერთოდ არარსებობა, ხშირ შემთხვევაში, იწვევს მის გაუქმებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 394-ე მუხლები). გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს. მასში უნდა აისახოს სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ (ფაქტობრივი დასაბუთება) და შეფასებითი მსჯელობა ამ ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში, ამავდროულად გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება, იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. ი-ოვის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, რამდენადაც არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 25 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. ი-ოვმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

კერძო საჩივრის საფუძველები შემდეგში მდგომარეობს:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებაში აღნიშნულია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დამდგარი საპროცესო შედეგით აპელანტის იურიდიული ინტერესი დაკმაყოფილებულია. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნა სადავო ქონების მხარეთა თანასაკუთრებაში არსებობის შესახებ დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებას სხვა სამოქალაქო დავაზე (მოწინააღმდეგე მხარის მიერ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში) აქცევს პრიუდიციული მნიშვნელობის მქონედ. ასეთ ვითარებაში ვერ ვიტყვით, რომ აპელანტს იურიდიულ ინტერესი არ გააჩნია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი აღნიშნული მსჯელობის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხრებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. კანონმდებელი არ განსაზღვრავს, რომელ სამოტივაციო თუ სარეზოლუციო ნაწილში შეუძლია მხარეს გასაჩივროს გადაწყვეტილება. კერძო საჩივრის ავტორის აზრით, შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც ირღვევა მხარის იურიდიული ინტერესი.

გასაჩივრებული განჩინებით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გასაჩივრების შესაძლებლობის ერთ-ერთ გამომრიცხველ გარემოებად მითითებულია ისიც, რომ აღსასრულებლად წარმართება მხოლოდ სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილი, თუმცა კერძო საჩივრის ავტორისთვის გაუგებარია, თუ რა კავშირშია აღნიშნული სადავო შემთხვევასთან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხრებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

მოცემულ შემთხვევაში დ. ი-ოვი ასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სამოტივაციო ნაწილს, სადაც სასამართლომ დაადგინა სადავო ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებობის ფაქტობრივი გარემოება და ითხოვს ამ ქონების მის ინდივიდუალურ საკუთრებად ცნობის შესახებ ფაქტის დადგენას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დაუშვებელია გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრება სარეზოლუციო ნაწილისაგან მოწყვეტით და მისგან დამოუკიდებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებულ ყველა ნაწილს. გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველს, მასში უნდა აისახოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება, სასამართლოს დასკვნები გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველად დადებული ფაქტების არსებობა-არარსებობისა და მათი სამართლებრივი შეფასების შესახებ. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის თაობაზე. მხარის მოთხოვნის იურიდიულ ბედს განსაზღვრავს მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლადაც სწორედ იგი წარმართება. სამოტივაციო ნაწილი ვერ მიექცევა აღსასრულებლად, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას («სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლი).

სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის, როგორც ამ გადაწყვეტილების საფუძვლის გაუქმებით, საფუძველი გამოეცლება სარეზოლუციო ნაწილსაც.

ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების იმ ნაწილის სისწორე თუ უსწორობა, რომელშიც ასახულია გადაწყვეტილების მოტივები, ვერ გასაჩივრდება სარეზოლუციო ნაწილისგან განყენებულად.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრებულია მოწინააღმდეგე მხარის – მ. მ-ძის მიერაც. მისი სააპელაციო საჩივრის განხილვის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მისცენ ახსნა-განმარტებები და დააფიქსირონ პოზიციები, რისი გათვალისწინებითაც საქმეზე გამოვა საბოლოო გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

დ. ი-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გადაწყვეტილების შინაარსი**

**განჩინება**

1ას-502-471-2010

4 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემდგენლობა: **ლ. ლაზარაშვილი** (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
**ნ. კვანტალიანი**,  
**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება, სარჩოს დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 24 ნოემბერს ბაღდათის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ფ-მემ (კანონიერი წარმომადგენელი დ. კ-მე) მოპასუხე მ. ფ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან ზიანის – 14 116.95 ლარის ანაზღაურება, აგრეთვე, ამ უკანასკნელისათვის 118 ლარის ოდენობით ყოველთვიური სარჩოსა და 4 100 აშშ დოლარის ოდენობით სამომავლო სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხის დაკისრება.

მოსარჩელის მითითებით, 2009 წლის 15 იანვარს არასრულწლოვან მ. ფ-მესთან და დ. ჰ-მესთან ერთად სანადიროდ იმყოფებოდა ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევის განაპირას მდებარე ტყეში, რა დროსაც თოფიდან გასროლილი საფანტი მოხვდა მარჯვენა მხარისა და გულმკერდის მარჯვენა არეში. აღნიშნულის შედეგად მოსარჩელემ მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება, შინაგანი ორგანოებისა და ხერხემლის ტვინის დაზიანებით. ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის განაჩენით მ. ფ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელად დაენიშნა ჯარიმა. ამის შემდგომ ლ. ფ-მეს ჩაუტარდა მკურნალობა, მიუხედავად ამისა, მისი მდგომარეობა არის მძიმე, ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა.

სარჩელის თანახმად, ლ. ფ-მის მკურნალობისათვის თავისმა და ნაწილობრივ მ. ფ-მის ოჯახებმა გასწიეს ხარჯები. სამომავლოდ მოსარჩელის რეაბილიტაციისათვის აუცილებელი იყო დამატებითი თანხები, რისი საშუალებაც ლ. ფ-მის ოჯახს არ გააჩნდა. ამასთან, მოსარჩელეს მძიმე მდგომარეობის გამო წაერთვა შრომის უნარი და ესაჭიროებოდა ყოველთვიური სარჩო.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. ფ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – მოპასუხე მ. ფ-მეს ლ. ფ-მის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება ყოველთვიური სარჩოს გადახდით 100 ლარის ოდენობით, აღნიშნული პასუხისმგებლობა მ. ფ-მის სრულწლოვანებამდე დაეკისრა მის კანონიერ წარმომადგენლებს – მ. ფ-მესა და მ. ა-შვილს, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

2009 წლის 15 იანვარს არასრულწლოვანი მ. ფ-მე, ასევე, არასრულწლოვან ლ. ფ-მესთან ერთად სანადიროდ იმყოფებოდა ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევის განაპირას მდებარე ტყეში, რა დროსაც მ. ფ-მემ ლ. ფ-მეს მარჯვენა მხარისა და გულმკერდის მარჯვენა არეში სანადირო თოფით გაუფრთხილებლობით მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება, შინაგანი ორგანოებისა და ხერხემლის ტვინის დაზიანებით. მოსარჩელე ლ. ფ-მე იმავე დღეს მოთავსებულ იქნა ქუთაისის აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში, სადაც ჩაუტარდა სასწრაფო-გადაუდებელი ოპერაცია. ლ. ფ-მე 2009 წლის 19 თებერვალს მოთავსებულ იქნა შპს თბილისის 14 კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა ოპერაცია;

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის განაჩენით მ. ფ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელად დაენიშნა ჯარიმა – 500 ლარი;

ქუთაისის აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში ლ. ფ-მისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურებისათვის (ზოგადი ქირურგიული ჩარევა და ტრანსპორტირება) სალაროში გადახდილ იქნა 5 403 ლარი. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში ჩატარებული მომსახურების (ზოგადი ქირურგიული ოპერაცია) თანხა – 3 000 ლარი გადაირიცხა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, ხოლო 300 ლარი ლ. ფ-მის საოპერაციოდ გადაირიცხა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. მოპასუხე მ. ფ-მის ოჯახის წევრებმა ლ. ფ-მის მკურნალობის ხარჯები აანაზღაურეს ნაწილობრივ, კერძოდ, მათ ლ. ფ-მისათვის თბილისში ჩატარებული ოპერაციისათვის გადაიხადეს 2 500 ლარი, ხოლო დაახლოებით 800 ლარი გადაიხადეს ლ. ფ-მის მკურნალობის მიზნით სხვადასხვა ექიმებთან კონსულტაციისათვის, პირადი ნივთების შესაძენად, ტრანსპორტირებისა და სხვა საჭიროებისთვის. მათ ასევე გადაიხადეს 2009 წლის ოქტომბერში მოსკოვიდან ჩასული ექიმი-სპეციალისტის დანიშნულებით მკურნალობისათვის დაახლოებით 300 ლარი. ლ. ფ-მის მკურნალობისათვის მეზობლებისა და ახლობლებისაგან შეკრებილმა თანხამ შეადგინა 1 680 ლარი;

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის თანახმად, ლ. ფ-მის სრული დიაგნოზია: მარჯვენა მხარის ცეცხლსასროლი ჭრილობა, გულმკერდის მარჯვენა ნახევრის ცეცხლსასროლი ჭრილობა, შემავალი მუცლის ღრუსა და რეტროპერიტონეალურ სივრცეში დიაფრაგმის, ღვიძლის უკანა ზედაპირის, თირკმლის ზედა პოლუსის დაზიანებით, ჰემოპერიტონეუმი მიკროჰემატურია ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი II, ხერხემლის და ზურგის ტვინის დაზიანება უცხო სხეულით (საფანტით) «თ» XII დონეზე, ქვედა პარაპლეგია მცირე მენჯის ორგანოების ფუნქციის სრული მოშლა. ავადმყოფის მდგომარეობა მუდმივად მძიმეა, მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა.

მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს სადავოდ არ გაუხდიათ მოსარჩელის მიერ წარდგენილი ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, თუმცა მათ მიუთითეს ლ. ფ-მის მიერ გაწეული მკურნალობის და სამომავლო ხარჯებთან დაკავშირებით საქმეში არსებულ მტკიცებულებათა არასაკმარისობაზე და განმარტეს, რომ სარჩელი ამ ნაწილში დაუსაბუთებელი იყო.

ლ. ფ-მე სარჩელში უთითებდა, რომ სამომავლოდ მისი რეაბილიტაციისათვის აუცილებელი იყო დამატებითი თანხა, რის გამოც მოპასუხე მხარისაგან ითხოვდა სამომავლო სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხას – 4 100 აშშ დოლარს. სამომავლო სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხის ოდენობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვებოდა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ ლ. ფ-მე 2009 წლის ნოემბრის მდგომარეობით იყო მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პენსიონერი და ყოველთვიურად იღებდა სახელმწიფო გასაცემელს – 80 ლარს; მ. ფ-მე (დაბადებული 1992 წლის 26 ივლისს) სწავლობდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის წითელხევის კ. ფ-შვილის სახელობის საჯარო სკოლის მე-12 კლასში. მისი ოჯახი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებდა საარსებო შემწეობას – თვეში 126 ლარს. დგინდებოდა, რომ საქმეში განთავსებული, შპს «ავერსი-გეოფარმის» სააფთიაქო ქსელიდან სხვადასხვა დასახელების პრეპარატები გაიცა სხვადასხვა პენსიონერების სახელზე და მტრედი-ბარათის სხვადასხვა მფლობელებზე (როცა დადგენილია, რომ მოსარჩელის ოჯახს ჰქონდა მხოლოდ ერთი მტრედი-ბარათი), რომელთაგან ზოგიერთი მეზობელია, ზოგიერთს მოსარჩელე საერთოდ არ იცნობს, რამდენიმე პრეპარატი თავად მოპასუხის დედის – მ. ა-შვილის სახელზეა გაცემული. ამასთან, საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს, რომ ლ. ფ-მეს ნამდვილად ჰქონდა დანიშნული მკურნალობა მითითებული პრეპარატებით.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, ზიანის სიმძიმისა და მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის ნაწილობრივ, კერძოდ, ყოველთვიური სარჩოს გადახდის ნაწილში დაკმაყოფილების საფუძველს. რამდენადაც მოპასუხე არასრულწლოვანი იყო და არ ჰქონდა საკმარისი ქონება ან შემოსავალი ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა მის წარმომადგენლებს, მშობლებს – მ. ფ-მესა და მ. ა-შვილს. ყოველთვიური სარჩოს ოდენობის განსაზღვრისას რაიონულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოპასუხის ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა, რის შესაბამისადაც ლ. ფ-მეს დააკისრა გადასახდელი – ყოველთვიური სარჩო – 100 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ფ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება 14 116,95 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურებისა და 4100 აშშ დოლარის ოდენობით სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხის მოთხოვნების ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით ლ. ფ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდა ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნა

ახალი გადაწყვეტილება, ლ. ფ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მ. ფ-ძეს ლ. ფ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა **6 269** ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

საქმეში განთავსებული აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის დირექტორის **2009** წლის **11** სექტემბრის **'03/401** ცნობით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **2009** წლის იანვარში ამავე ცენტრში ლ. ფ-ძეს ჩაუტარდა სამედიცინო მომსახურება (ზოგადი ქირურგიული ჩარევა და ტრანსპორტირება), რომლის ღირებულება **5 315.88** ლარით განისაზღვრა, მთლიანობაში სალაროში გადახდილ იქნა **5 403** ლარი;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე, 105-ე** მუხლების თანახმად, საქმეში განთავსებული მტკიცებულებების (შპს «ავერსი გეოფარმასა» და სხვა აფთიაქებში პრეპარატების ყიდვისათვის გადახდის ქვითრების) შეფასების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად და სარწმუნოდ მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ლ. ფ-ძის მკურნალობისათვის პრეპარატებში გადახდილ იქნა თანხა – **2 503.45** ლარის ოდენობით;

საქმეში განთავსებული **182** სამედიცინო დოკუმენტით (პაციენტ ლ. ფ-ძის კალკულაციით) დგინდებოდა, რომ გამოკვლევების, მანიპულაციების, დოკუმენტების, დანიშნულების საგნებისათვის და სხვა. გადახდილი თანხა შეადგენდა **4 616.64** ლარს;

საქმეში განთავსებული აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის დირექტორის **2009** წლის **10** სექტემბრის **'03/398** ცნობით დგინდებოდა, რომ ამავე ცენტრში ლ. ფ-ძისათვის იმავე წლის იანვარში ჩატარებული მომსახურების (ზოგადი ქირურგიული ოპერაცია) თანხა – **3 000** ლარი გადარიცხა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში;

საქმეში განთავსებული საგადასახადო დავალებით დგინდებოდა, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში გადარიცხა **300** ლარი ლ. ფ-ძისათვის ჩატარებული ოპერაციის გამო;

საქმეში განთავსებული ხელწერილებით დგინდებოდა, რომ ბაღდათში, ლ. ფ-ძის მეზობლების მიერ ლ. ფ-ძისა და მისი ოჯახის წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით აიკრიფა და შეგროვდა **1 680** ლარი;

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული, მოსარჩელე ლ. ფ-ძის დედის ჩვენებით დგინდებოდა, რომ მოპასუხის ოჯახმა მოსარჩელეს გაუწია დახმარება **2 950** ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით ლ. ფ-ძის ჯანმრთელობის სარეაბილიტაციოდ გაღებული დანახარჯი შეადგენდა **12 519** ლარს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და თავად მოპასუხის მიერ ანაზღაურებული თანხების გამოკლებით, სამოქალაქო კოდექსის **317-ე, 992-ე, 998-ე** და **463-ე** მუხლებზე მითითებით, მოსარჩელისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო **6 269** ლარით. სამოქალაქო კოდექსის **998-ე** მუხლის გათვალისწინებით, სწორედ ეს თანხა უნდა დაკისრებოდა მ. ფ-ძეს.

რაც შეეხებოდა მეზობლების მიერ გაწეულ ფულად დახმარებას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იგი უნდა მიჩნეულიყო უსასყიდლო დახმარებად (ჩუქებად), რომელიც მთლიანად წარმოადგენდა საკუთრივ მოსარჩელისათვის გაწეულ საჩუქარს, შეღავათს და არა იმ პირისას (ანუ მოპასუხისას), რომელიც კონკრეტული შემთხვევის გამო ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში აღმოჩნდა მოსარჩელესთან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ლ. ფ-ძე ითხოვს მატერიალური ზიანისა და სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას.

საკასაციო საჩივრის საფუძველები მდგომარეობს შემდეგში:

სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა მოსარჩელის მოთხოვნაზე სამომავლო სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებითაც დგინდება, რომ ლ. ფ-ძეს ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა. აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **249-ე** მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა. გარდა ამისა, დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **249-ე** მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესი, რამდენადაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ ასახულა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია სარჩელს სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებები არასრულყოფილად გამოიკვლია მატერიალური ზიანის ნაწილში. მან შეფასება არ მისცა ქვითრებს, რომლებშიც აღნიშნულია მედიკამენტებში გადახდილი თანხა, იმის გამო, რომ ქვითრებს არ ახლდა შესაბამისი რეცეპტები. ამით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **103-ე** მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება. თუკი დასახელებული ქვითრები არასაკმარისი იყო, სააპელაციო სასამართლოს მოსარჩელისათვის უნდა შეეთავაზებინა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა ამ ქვითრებთან დაკავშირებით, რის შემდგომაც მოხდებოდა რეცეპტების წარდგენა.

კასატორის მითითებით, აღნიშნული რეცეპტების თავდაპირველად წარუდგენლობა გამოიწვია მკურნალობის მიზეზით მისი თბილისში ყოფნამ, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს ეს გარემოება საპატიოდ უნდა მიეჩნია და მითითებული მტკიცებულებები გაეთვალისწინებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის საფუძველზე. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის 15591 ცნობა, როგორც დაგვიანებით წარდგენილი მტკიცებულება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები საპატიო მიზეზის არსებობისას. ბაღდათის რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 2010 წლის 22 იანვარს, ხოლო დასახელებული ცნობა კასატორმა აიღო ამის შემდგომ მკურნალობის გავლის შედეგად – 2010 წლის 22 მარტს. ცხადია, ცნობა სარჩელის შეტანისას ვერ იქნებოდა წარდგენილი. კასატორი მუდმივ მკურნალობას საჭიროებს, რადგან წელს ქვემოთ მოწყვეტილია. მამასადამე, ეს ცნობა უნდა მიეღო სასამართლოს და მიეცა შესაბამისი შეფასება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. აღნიშნული ცნობა წარმოადგენს სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხების სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს საქმის სხვა მასალებთან ერთად. ამას გარდა, მოსარჩელეს ესაჭიროება თუ არა სარეაბილიტაციო მკურნალობა და რა თანხა არის ამისთვის საჭირო, ეს საკითხი მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, რის გამოც სასამართლოს თავისი ინიციატივით უნდა დაენიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

კასატორმა მ. ფ-მემ (კანონიერი წარმომადგენელი მ. ფ-მე) მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ივლისის განჩინებით ლ. ფ-მის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და დადგინდა მისი ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა. ამავე სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის განჩინებით მ. ფ-მის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ლ. ფ-მის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხის მოთხოვნის ნაწილში გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ე.ი. სააპელაციო სასამართლო შეზოქილია სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით და უფლებამოსილია, შეამოწმოს გადაწყვეტილება მხოლოდ გასაჩივრებულ ნაწილში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, შეცვალოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც აპელანტი მოითხოვს.

კანონის აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება უნდა გადაესინჯა როგორც მატერიალური ზიანის (14 116.95 ლარის), ისე სამომავლო სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხის (4 100 აშშ დოლარის) სასარჩელო მოთხოვნების ნაწილში, რამდენადაც, საქმის მასალების თანახმად, აპელანტი ლ. ფ-მე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა ორივე დასახელებულ ნაწილში. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ ლ. ფ-მის სააპელაციო საჩივარი განიხილა მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში და საერთოდ არ იმსჯელა აპელანტის მეორე მოთხოვნაზე სამომავლო სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხის ანაზღაურების შესახებ. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა იმ ნაწილშიც, რომელზეც არ უმსჯელია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა ბაღდათის სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება გასაჩივრებულ ნაწილში, გასაჩივრებული ნაწილი კი, როგორც უკვე აღინიშნა, მოიცავდა სამომავლო სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხის ანაზღაურების მოთხოვნასაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. ამავე ნორმის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ. ამდენად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი წარმოადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველს, მასში უნდა აისახოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება, სასამართლოს დასკვნები გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დამასაბუთებელი გარემოებების არსებობისა და მათი სამართლებრივი შეფასების შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიცავს მითითებას დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, მტკიცებულებებზე, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, ნორმებზე, რომელთა საფუძველზე სასამართლომ მოახდინა დადგენილი ფაქტობრივი



გარემოებების იურიდიული შეფასება, ვერ ჩაითვლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებად, რომლის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება ზემდგომი სასამართლოს მიერ შესაძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, რამდენადაც მასზე სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია გადაწყვეტილების კვლევით (სამოტივაციო) ნაწილში. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნებას ექვემდებარება.

სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხების სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა მიეღო ო. ლუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრის 15591 ცნობა, როგორც ახალი მტკიცებულება. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის აღნიშნულ მსჯელობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალი მტკიცებულებების წარდგენას, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მიიღებს ახალ მტკიცებულებებს, თუ მხარეს ისინი შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. მოცემულ შემთხვევაში ო. ლუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრის 15591 ცნობა გაცემულია 2010 წლის 22 მარტს, როდესაც საქმე უკვე იმყოფებოდა სააპელაციო წარმოების ეტაპზე, აღნიშნული ცნობა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა 2010 წლის 23 მარტს. ამდენად, მხარეს ამ ცნობის პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხების მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს თავისი ინიციატივით უნდა დაენიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. კასატორი ვერ ასაბუთებს მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობების არსებობას და ამ საკითხზე არა აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

რაც შეეხება მატერიალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მართლზომიერებას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დასახელებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. ან ნაწილში კასატორს არა აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კასატორი აღნიშნავს, რომ, მისი შუამდგომლობის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ საქმეზე მტკიცებულების სახით არ მიიღო და შეფასება არ მისცა ლ. ფ-მის მკურნალობისათვის საჭირო რეცეპტების ქვითრებს, რაც, კასატორის აზრით, გავლენას მოახდენდა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის იურიდიულ ბედზე. აღნიშნული ქვითრები კასატორს წარდგენილი აქვს სააპელაციო საჩივართან ერთად. რაც ქვითარში გაცემის თარიღი არ არის მითითებული, ხოლო რაც ქვითარში მითითებულია 2009 წლის აგვისტო. სარჩელი აღძრულია 2009 წლის ნოემბერში. კასატორი ვერ ასაბუთებს მის მიერ აღნიშნული ქვითრების პირველი ინსტანციის სასამართლოში წარუდგენლობის საპატიო მიზეზს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის თანახმად – მისი მსჯელობის საფუძვლიანობას. ასევე არასწორია კასატორის მსჯელობა, რომ, თუკი საქმეში არსებული ქვითრები არასაკმარისი იყო, სააპელაციო სასამართლოს მოსარჩელისათვის უნდა შეეთავაზებინა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა, რის შემდგომაც მოხდებოდა რეცეპტების წარდგენა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს ჩარევა მტკიცებულებების მოპოვების პროცესში შეზღუდულია და მისი ფარგლები საპროცესო კოდექსით მკაცრად არის რეგლამენტირებული. ამიტომ, სწორედ მხარის საპროცესო ვალდებულებაა, სასამართლოს წარუდგინოს შესაბამისი მტკიცებულება, ამ ვალდებულების სასამართლოსთვის გადაკისრება არ შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ გაუქმებას ექვემდებარება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ლ. ფ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდეს სარეაბილიტაციო მკურნალობის თანხის მოთხოვნის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. უსწორობის გასწორება (კერძო საჩივარი)

### განჩინება

1ას-1233-1492-09

22 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაყოფა

კერძო საჩივრის დავის საგანი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ყ-იანმა მოპასუხე ვ. გ-მის მიმართ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაყოფის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ყ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა – თბილისში, ... ქ. '167'-ში, ბ.31 საკუთრების უფლებით გადაეცა მოსარჩელეს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. გ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ლ. ყ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ლ. ყ-ანი ცნობილ იქნა უძრავი ქონების, მდებარე თბილისი, ... ქ. '167'-ში, ბ. 13 და უძრავი ქონების, თბილისში, ... ქ. '114'-ში მდებარე, 146 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის 2/3-ის მესაკუთრედ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო საკუთრებას, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზით არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სადავო უძრავი ნივთები მიიჩნია მეუღლეთა თანასაკუთრებად, როგორც ქორწინების განმავლობაში შეძენილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ვ. გ-მემ და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში შეცდომით იყო მითითებული სადავო ქონების მისამართები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 მაისის განჩინებით შესწორდა 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, მისამართი: «... ქ. '167', ბ. '113», შეიცვალა მისამართით: «... ქ. '167', ბ. '131».

2008 წლის 8 ივლისს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ლ. ყ-იანმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაში არსებული უსწორობის გასწორება, კერძოდ: ... ქ. '167', ბ. '113'-ის ნაცვლად – ... ქ. '167', ბ. '131'-ის მითითება. ასევე «... ქ. '114'-ის» ნაცვლად, «... ქ. '114ა-ს» მითითება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 ივლისის განჩინებით ლ. ყ-იანის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 მაისის განჩინებით შესწორდა 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, მისამართი: ... ქ. '167', ბ. '113', შეიცვალა მისამართით: ... ქ. '167', ბ. '131'. რაც შეეხება ... ქ. '114'-ის ნაცვლად ... ქ. '114ა-ს მითითებას, ლ. ყ-იანის მოთხოვნა აღნიშნული უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის 2004 წლის 9 ივნისის ამონაწერით დასტურდებოდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო ... ქ. '114ა'-ში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორი მოუთხოვდა, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია. კასატორი მიიჩნევდა, რომ ლ. ყ-იანის მოთხოვნა იყო ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაყოფა და არა აღნიშნულ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის განჩინებით ვ. გ-მის საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნეს დატოვებული დაუშვებლობის გამო.

2009 წლის 19 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ლ. ყ-იანმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა, კერძოდ, ნაცვლად მისამართისა: «თბილისი, ... ქ. 114», მითითება: «ქ. თბილისი, ... ქ. 114ა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით ლ. ყ-იანის განცხადება დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში შეტანილ იქნა შეწორება, კერძოდ, «თბილისი, ... ქ. 114» შეიცვალა მისამართით – «თბილისი, ... ქ. 114ა».

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ვ. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, 2008 წლის 8 ივლისს ლ. ყ-იანმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა 2008 წლის 30 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება, მისამართის – «თბილისი, ... ქ. 114-ის», შეცვლა მისამართით – «თბილისი, ... ქ. 114ა». აღნიშნული განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა. კერძო საჩივრის ავტორი მოუთხოვს, რომ ლ. ყ-იანის მიერ უსწორობის გასწორების მოთხოვნით სასამართლოში განმეორებით მიმართვისას სასამართლოს უნდა შეეწყვიტა საქმის წარმოება, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 ივლისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ლ. ყ-იანის განცხადება, კანონიერ ძალაშია შესული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. გ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ სადავო ქონება ნამდვილად მდებარეობს მისამართზე, რომელიც სააპელაციო სასამართლომ გაასწორა – «თბილისი, ... ქ. 114ა». კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებას ითხოვს მხოლოდ იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა ამ საკითხზე და 2008 წლის 15 ივლისის განჩინებით უსწორობის გასწორების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დასაშვებია გადაწყვეტილებაში ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც არსებითად არ ცვლის გადაწყვეტილებას, მის აზრსა და შინაარსს, წარმოადგენს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გამოსწორებას და საქმის მასალებიდან გამომდინარე შესაძლებელია ასეთი შესწორების შეტანა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 ივლისის განჩინებით ლ. ყ-იანის განცხადებას უსწორობის გასწორების შესახებ უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ იმ მდგომარეობით საქმეში არსებული მასალებით არ დგინდებოდა სადავო ბინის მისამართის – «თბილისი, ... ქ. 114-ის» უსწორობა.

მოცემულ შემთხვევაში, ლ. ყ-იანის მიერ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების მოთხოვნის შესახებ განცხადების განმეორებით შეტანის დროისათვის საქმეში არსებობდა სადავო ქონების მოსარჩელის საკუთრებაში აღრიცხვის საფუძველი – სააუქციონო განკარგულება, რომლის მიხედვით, ცალსახად დგინდებოდა, რომ ვ. გ-მის მიერ აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების მისამართი იყო «ქ. თბილისი, ... ქ. 114ა» და არა «თბილისი, ... ქ. 114».

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ყ-იანის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ სწორად იქნა დაკმაყოფილებული, ვინაიდან საქმის მასალები ადასტურებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაში თავდაპირველად მითითებული მისამართის უსწორობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**  
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ვ. გ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება**

**განჩინება**

1ას-1250-1509-09

1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** სანოტარო აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. მ-იას, ლ. ც-შვილისა და ქ. ზუგდიდის ნოტარიუს მ. ფ-მის მიმართ 2006 წლის 22 აპრილის 11-303 და 11 მაისის 11-3019 სანოტარო აქტების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2006 წლის 8 თებერვალს აწ გარდაცვლილმა ლ. პ-იამ მოსარჩელის სახელზე გასცა 11-141 მინდობილობა უძრავი ნივთის გადაფორმების შესახებ. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული მინდობილობა ნოტარიუსის შემცველმა ა. მ-იამ 2006 წლის 22 აპრილის 11-303 სანოტარო აქტით უკანონოდ გააუქმა, ხოლო 2006 წლის 11 მაისის ნოტარიუს ლ. ც-შვილის მიერ 11-3019 სანოტარო აქტით დამოწმებულ იქნა ახალი მინდობილობა. ამ დროისათვის ლ. პ-იას პირადობის მოწმობა ინახებოდა მოსარჩელესთან და იგი ნოტარიუსთან წარდგენილი ვერ იქნებოდა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 მაისის განჩინებით დავაში თანამოპასუხეებად ჩაებნენ ლ. პ-იას უფლებამონაცვლეები – ვ. კ-ავა-გ-ია და კ. ჭ-ია. ამავე სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. მ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებით მ. მ-მის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

მ. მ-მემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობების გასწორება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 დეკემბრის განჩინებით განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამავე სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინების აღწერილობით ნაწილში დაშვებული მექანიკური უსწორობა გასწორდა და ნაცვლად – «2009 წლის 24 თებერვალს, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. მ-მემ, მოპასუხეებად დაასახელა ლ. (თ.) ც-შვილი, ა. მ-ია, მ. ფ-მე, ვ. კ-ავა-გ-ია, კ. ჭ-ია», მიეთითა, რომ «2009 წლის 24 თებერვალს, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. მ-მემ, მოპასუხეებად დაასახელა ლ. ც-შვილი, ა. მ-ია...», მ. მ-მის მოთხოვნა სხვა უსწორობათა გასწორებაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით და მიიჩნია, რომ სასარჩელო განცხადების თანახმად, მ. მ-მემ მოპასუხეებად დაასახელა მხოლოდ ა. მ-ია და ლ. ც-შვილი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინების აღწერილობით ნაწილში კი მ. მ-მის მოპასუხეებად მითითებული სხვა პირები საქმეში მოგვიანებით სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩაებნენ. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს, ხოლო დანარჩენ ნაწილში მ. მ-მის განცხადება დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. მ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა განცხადება დაშვებული უსწორობის გასწორებაზე, ასევე 2009 წლის

11 აგვისტოს გადაწყვეტილებასა და ამავე წლის 24 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობების გასწორების საკითხის გადაწყვეტამდე საქმის წარმოების შეჩერება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა მ.მ-დის განცხადებაში მითითებული არგუმენტები და არ გაასწორა დაშვებული უზუსტობანი, კერძოდ: 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებაში სააპელაციო პალატის მითითებით, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ ა.მ-იას მიერ '1-303 სანოტარო აქტით დამოწმებულ იქნა ლ.პ-იას ნება მ.მ-დის სახელზე გაცემული რწმუნებულების გაუქმების შესახებ, ხოლო 11-3019 სანოტარო აქტით თ.ც-შვილმა დაამოწმა ლ.პ-იას მიერ კ.ჭ-იას სახელზე გაცემული ახალი რწმუნებულება. ამავე განჩინებაში სასამართლო არასწორად უთითებს, რომ სადავო სანოტარო აქტების შედგენის დროს ლ.პ-იას პირადობის მოწმობა ნივთმტკიცების სახით დართული იყო სისხლის სამართლის საქმეზე და, შესაბამისად, ნოტარიუსთან წარდგენილი არ ყოფილა. მ.მ-მემ ჯერ კიდევ 2009 წლის 17 აგვისტოს განცხადებით მოითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებაში დაშვებული ამ უსწორობის გასწორება იმ მოტივით, რომ ზემოხსენებული გარემოების დადგენილად ცნობა არ არის სწორი, რადგან ამ დროისათვის ლ.პ-იას პირადობის მოწმობა მ.მ-მესთან ინახებოდა. აღნიშნულ განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია. 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებაში სააპელაციო პალატამ შეცდომით აღნიშნა, რომ მოცემული დავის განსჯადობის საკითხზე სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მ. მ-მემ, რაც არასწორია.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-დის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი ითვალისწინებს რა სამართალწარმოების პროცესში საპროცესო დოკუმენტების შედგენისას გარკვეული უზუსტობის არსებობას, შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საკუთარი სურვილით ან მხარის მოთხოვნით გამოასწოროს გადაწყვეტილებაში არსებული შეცდომები. ამავდროულად, აღნიშნული ნორმის მიზანია, აღმოიფხვრას ისეთი უსწორობანი, რომელთაც შეუძლია მხარეებთან იმოქმედოს საქმის გადაწყვეტისა თუ ცალკეული საპროცესო მოქმედებების სწორად შესრულების სამართლებრივ შედეგზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მ.მ-დის მოთხოვნა არ შეესაბამება ზემოხსენებული ნორმით განსაზღვრული უსწორობის გასწორების წესს, რადგან მხარეს არ მიუთითებია სასამართლოს მიერ დაშვებულ უსწორობაზე, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებაში დაშვებულ უსწორობად მ.მ-მე მიიჩნევს ამ განჩინების აღწერილობით ნაწილში სააპელაციო პალატის მითითებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე (ლ.პ-იას მიერ მ.მ-დის სახელზე გაცემული მინდობილობის გაუქმებისა და ახალი მინდობილობის კ.ჭ-იას სახელზე გაცემის შესახებ, ასევე, სადავო სანოტარო აქტების გაფორმებისას ლ.პ-იას პირადობის მიწმობის ნოტარიუსისათვის წარდგენის თაობაზე, რაც დასტურდება სისხლის სამართლის საქმის მასალებით) და თვლის, რომ დასახელებული გარემოებანი სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა. სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებით მ.მ-დის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციულ სასამართლოს. მითითებული განჩინების აღწერილობით ნაწილში დასახელებულია ის გარემოებები, რაც დადგინდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. ამდენად, უსწორობის გასწორების შესახებ პრეტენზიის წარდგენით მ.მ-მე ფაქტობრივად სადავოდ ხდის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილი 2009 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ დასაბუთებას, რაც დასაშვებია არა უსწორობის გასწორების შესახებ განცხადების, არამედ სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი).

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებაში მოცემული დავის განსჯადობის საკითხის გახილვის შესახებ შუამდგომლობის ავტორად მ.მ-მე არასწორად იქნა მითითებული. როგორც ზემოხსენებულ განჩინებაში, ისე 2009 წლის 24 ნოემბრის სასამართლო სხდომის ოქმში ნათლადაა აღნიშნული, რომ საქმის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით განხილვის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა აპელანტ მ.მ-დის მოწინააღმდეგე მხარემ, შესაბამისად, მხარის ზემოხსენებული მითითება სინამდვილეს არ შეესაბამება. ამასთან, განსჯადობის საკითხის გარკვევა სასამართლოს კომპეტენციაა და სასამართლო, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე ვალდებულია, შეამოწმოს განსახილველი სარჩელის განსჯადობა.

რაც შეეხება მ.მ-დის მოთხოვნას საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, აღნიშნული ვერ დაკმაყოფილება, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-280-ე მუხლებით

გათვალისწინებული საქმის წარმოების შეჩერების სამართლებრივი წანამძღვრები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

მ. მ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უსწორობის გასწორება**

**განჩინება**

1ას-1287-1542-09

25 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შ. გ-იამ სსიპ «საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის» მიმართ სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შ. გ-იას სარჩელი – ბათილად იქნა ცნობილი სსიპ «საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის» თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს 1636-ვ ბრძანება; მოსარჩელეს აუნაზღაურდა სამსახურში იძულებით არყოფნის პერიოდში მიუღებელი საშუალო ხელფასი – 1359,53 ლარი გათვალისწინებული დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე; შ. გ-ია აღდგენილ იქნა საინფორმაციო პროგრამა «მოამბის» მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა სსიპ «საზოგადოებრივმა მაუწყებელმა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ «საზოგადოებრივი მაუწყებლის» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით შ. გ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ «ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის» თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს 1363 ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, სსიპ «საზოგადოებრივი მაუწყებელს» შ. გ-იას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის – 6640 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელეს უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შ. გ-იამ. ასევე საკასაციო საჩივარი შეიტანა სსიპ «საზოგადოებრივმა მაუწყებელმა».

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინებით სსიპ «საზოგადოებრივი მაუწყებლის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შ. გ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება შ. გ-იას სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

შ. გ-იამ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება. მან მიუთითა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით 6640 ლარით განისაზღვრა ასანაზღაურებელი თანხა. აღნიშნული თანხის გარკვეული ნაწილი გაანგარიშებულია მხოლოდ ხელფასით და არა საშუალო ხელფასით. 2004 წლის აგვისტოდან 2006 წლის დეკემბრის ჩათვლით არა 16, არამედ 29 თვეა. არ არის მითითებული 2005 წელი, როდესაც გაუქმდა საპრონორარო სისტემა და ანაზღაურება გაიზარდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 ნოემბრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის 128/1463-07 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ბოლო აბზაცში დაშვებული უსწორობა გასწორდა და იგი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: «ამდენად, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს სულ 6640 ლარი, მათ შორის, 2004 წლის აგვისტოდან 2005 წლის დეკემბრის ჩათვლით, 16 თვის განმავლობაში, 40 ლარი, რაც 640 ლარს შეადგენს, ხოლო 2006 წლის იანვრიდან 2006 წლის აპრილამდე, თვეში 2000 ლარი, ანუ 3 თვის განმავლობაში 6000 ლარი».

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დაშვებულია მექანიკური უსწორობა, კერძოდ, მასში მითითებულია, რომ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს სულ 6640 ლარი, მათ შორის, 2004 წლის აგვისტოდან 2006 წლის დეკემბრის ჩათვლით 16 თვის განმავლობაში 40 ლარი, რაც 640 ლარს შეადგენს, ხოლო 2006 წლის იანვრიდან 2006 წლის აპრილამდე, თვეში 2000 ლარი, ანუ 3 თვის განმავლობაში 6000 ლარი. წინადადებაში აღნიშნული სიტყვების – «2006 დეკემბრის ჩათვლით» – ნაცვლად მითითებული უნდა იყოს სიტყვები: «2005 წლის დეკემბრის ჩათვლით».

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შ. გ-იამ. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ბოლო აბზაცში დაშვებულია მექანიკური უსწორობა. მისი აზრით, უსწორობა დაშვებულია არა მხოლოდ ბოლო აბზაცში და არა მხოლოდ მექანიკური, არამედ – სამართლებრივი და არსებითი. თუ ერთის მხრივ, პალატა აღნიშნავს, რომ მისი ხელფასი თვეში შეადგენს 40 ლარს სამუშაოდან განთავისუფლების დღისათვის, ხოლო 2006 წლის იანვრიდან 2000 ლარით განისაზღვრა, მეორე მხრივ, არასწორად ადასტურებს, რომ 2006 წლამდე არავითარი ცვლილება არ მომხდარა ანაზღაურების მხრივ. დაუშვებელია მიყენებული ზიანის შესაბამის კომპენსაციად ჩაითვალოს გაუგებარი თანხა – 6640 ლარი. როდესაც «მოამბის» მთავარი რეჟისორის ყოველთვიური ანაზღაურება არასდროს ყოფილა მხოლოდ 40 ლარი და გაუგებარია, საიდან დაადგინა სააპელაციო სასამართლომ, რომ მისი ხელფასი შეადგენდა მხოლოდ 40 ლარს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შ. გ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შ. გ-იამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა და მოითხოვა უსწორობის გასწორება არა მექანიკურ, არამედ – სამართლებრივ საკითხებზე, რაც სცილდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მოთხოვნებს. რაც შეეხება, სააპელაციო სასამართლოს უსწორობის გასწორების განჩინებას, რომლის თანახმად, სასამართლომ გაასწორა გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომა, ამის საწინააღმდეგოს კერძო საჩივრის ავტორი არ მიუთითებს.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 260-ე მუხლის დარღვევის ფაქტი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შ. გ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ნოემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### განჩინება

1ას-1239-1498-09

6 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** რეალური წილის გამოყოფა

#### აღწერილობითი ნაწილი:

თ. ჯ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე ე. მ-მის მიმართ და მოითხოვა ქ.გორში, ... ქუჩა '15'-ში მდებარე სახლიდან მისი კუთვნილი ფართის გამოყოფა.

მოსარჩელის განმარტებით, 1996 წლის 29 აპრილს ჩუქების ხელშეკრულებით მოპასუხის მეუღლე ი. ბ-შვილმა გადასცა ქ.გორში, ს... ქუჩა '15'-ში მდებარე სახლის 2/3, ხოლო იმავე დღის ანდერძით მის შვილს – გ. ჯ-მეს უანდერძა სახლის დანარჩენი ნაწილი, ე.ი. 1/3.

მოპასუხემ 2007 წელს სასამართლოში შეიტანა სარჩელი ჩუქების ხელშეკრულებისა და ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ. აღნიშნულ დავაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში 2008 წლის 17 აპრილს. აღნიშნული გადაწყვეტილებით ჩუქების ხელშეკრულება ძალაში იქნა დატოვებული, ხოლო ანდერძის ნაწილში ცვლილება შევიდა და ე. მ-მეს მიეცა სახლის 1/3-ის ნახევარი, რაც შეადგენს მთლიანი სახლის 1/6-ს. მთლიანი სახლის საერთო ფართობი არის 209 კვ.მ, რადგანაც სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა შესული, მის მიერ საჯარო რეესტრში ცვლილება იქნა შეტანილი და საცხოვრებელი სახლი რეგისტრირებულ იქნა მის სახელზე, ასევე, მისივე თანხმობით, შვილის – გ. ჯ-მის საკუთრება, რეგისტრირებულ იქნა მოსარჩელის სახელზე.

სახლს ამჟამად ჰყავს ორი მესაკუთრე, მოპასუხე ე. მ-მე, რომლის საკუთრებასაც წარმოადგენს საცხოვრებელი სახლის 1/6 და მოსარჩელე, რომლის საკუთრებას წარმოადგენს სახლის 5/6.

მოსარჩელის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი ნაწილის მესაკუთრე არის თავად, ე. მ-მე არ უშვებს მას საცხოვრებელ სახლში, რის გამოც იძულებული გახდა, მიემართა სასამართლოსთვის იდეალური წილიდან რეალური წილის გამოყოფის მოთხოვნით.

მოპასუხემ წარმოადგინა შესაგებელი, რითაც სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ ჩუქების ხელშეკრულებისა და ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო დავა ამ ეტაპზე არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, 2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება გასაჩივრებელია საკასაციო საჩივრით, რის გამოც შეუძლებელია საქმეზე გადაწყვეტილების მიღება, უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ე. მ-მემ მოპასუხე თ. ჯ-მის მიმართ და ითხოვა 1996 წლის 29 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება.

მოსარჩელის განმარტებით, 1996 წლის 29 აპრილს მისმა მეუღლე ი. ბ-შვილმა წერილობითი თანხმობით გააფორმა ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხე თ. ჯ-მეს აჩუქა 2/3 ქ.გორში, ... ქუჩა '15'-ში მდებარე სახლიდან.

მოსარჩელის მითითებით, ვინაიდან იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში ი. ბ-შვილთან, მათ მიერ აშენებული სახლი წარმოადგენდა მათ საერთო საკუთრებას და გაჩუქების დროს მის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე, მანაც აჩუქა თავისი წილი.

მოსარჩელის მტკიცებით, დასაჩუქრებულმა თ. ჯ-მემ ბოლო პერიოდში მის მიმართ გამოხატა აშკარა უმადურობა, რაც გამოიხატა მძიმე შეურაცხყოფით, დანაშაულებრივი მუქარით, ცემით. აღნიშნული ფაქტების გამო თ. ჯ-მე ორჯერ იქნა გასამართლებული გორის რაიონული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული ფაქტები წარმოადგენს საფუძველს 1996 წლის 29 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისა, იმის გათვალისწინებით, რომ უმადურობის გამოხატვიდან არ გასულა 1 წელი და, შესაბამისად, მოთხოვნა არ არის ხანდაზმული.

მოპასუხე თ. ჯ-მემ წარმოადგინა შესაგებელი, რითაც სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მოსარჩელე ე. მ-მემ იმავე სარჩელით უკვე მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს და ანალოგიურ სარჩელზე არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის სასამართლოს გადაწყვეტილება, რითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით სამოქალაქო საქმე ე. მ-მის სარჩელისა გამო, მოპასუხე თ. ჯ-მის მიმართ, 1996 წლის 29 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე და თ. ჯ-მის სასარჩელო განცხადება, მოპასუხე ე. მ-მის მიმართ, იდეალური წილიდან რეალური წილის გამოყოფის თაობაზე გაერთიანდა ერთ წარმოებად.



გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ამავე სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით ე. მ-ძის სარჩელზე მოპასუხე თ. ჯ-ძის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შესახებ შეწყდა წარმოება. ამავე სასამართლოს 2009 წლის 1 მაისის განჩინებით გასწორდა გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების 2/656 შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ე. მ-ძემ.

ე. მ-ძემ ასევე კერძო საჩივარი შეიტანა გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის განჩინებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით ე. მ-ძის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, ამავე სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით ე. მ-ძის კერძო საჩივარი, გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის განჩინებაზე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განცხადება და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი სააპელაციო საჩივარზე სასამართლოში შემოვიდა 2009 წლის 8 ოქტომბერს, ხოლო განცხადებას, რომელსაც ერთვოდა კერძო საჩივარზე ბაჟის სახით გადახდილი 50 ლარის გადახდის ქვითარი კანცელარიის მიერ მინიჭებული ჰქონდა ცალკე სარეგისტრაციო ნომერი და დათარიღებულია 2009 წლის 12 ოქტომბრით, რის გამოც აღნიშნული კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით ე. მ-ძის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

2009 წლის 18 ნოემბერს განცხადებით მიმართა სასამართლოს ე. მ-ძის წარმომადგენელმა მ. ლ-ძემ. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუშვა ტექნიკური შეცდომა, რამაც გამოიწვია კერძო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, აღნიშნულის გამო მოითხოვა შეცდომის გასწორება და კერძო საჩივრის წარმოებაში მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ე. მ-ძის წარმომადგენელ მ. ლ-ძის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში არ არსებობს უსწორობა ან აშკარა არითმეტიკული შეცდომა, რადგან 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც განუხილველად დარჩა ე. მ-ძის კერძო საჩივარი, სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო რაიმე სახის უსწორობას ან არითმეტიკულ შეცდომას აღნიშნული განჩინების მიღების დროს ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. მ-ძის წარმომადგენელმა მ. ლ-ძემ. მისი მითითებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთი განცხადება მასზე დართული ქვითრებით შემოვიდა ფოსტის მეშვეობით 12 ოქტომბერს, მაგრამ, ვინაიდან ფოსტაში კონვერტი ჩაბარებულ იქნა 8 ოქტომბერს, სასამართლომ ჩათვალია ხარვეზის შევსების ვადა დაცულად, ხოლო მეორე განცხადება 12 ოქტომბერს ჩაბარებულად ჩათვალია და შესაბამისად, ვადა სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია, რის გამოც კერძო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე ეთქვათ უარი. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ორივე განცხადება გამოგზავნილ იქნა სასამართლოში ერთი კონვერტით და არა ისე, როგორც ჩათვალია სასამართლომ. სასამართლომ გამოითხოვა მისაღებიდან ცნობა განცხადებების ჩაბარების შესახებ, რაზეც მისაღებმა გასცა ცნობა, თითქოს ერთი განცხადება მიღებულ იქნა ფოსტით, ხოლო მეორე ჩაჰბარდა პირადად. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ორივე განცხადება გაიგზავნა ერთსა და იმავე დღეს ფოსტის მეშვეობით სასამართლოში და გაურკვეველია, რატომ ჩათვალია სააპელაციო სასამართლომ სხვადასხვა დროს ჩაბარებულად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ე. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – ამავე სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება, ე. მ-ძის სარჩელის გამო, მოპასუხე თ. ჯ-ძის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ე. მ-ძემ. მან ასევე კერძო საჩივარი შეიტანა ამავე სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის განჩინებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განჩინებით ე. მ-ძეს დაევალა დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ამავე სასამართლოს 24 სექტემბრის განჩინებით ე. მ-ძეს კერძო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის სახით 50 ლარის გადახდა. აღნიშნული განჩინებები აპელანტს გაეგზავნა 2009 წლის 25 სექტემბერს და ჩაჰბარდა 29 სექტემბერს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით ე. მ-ძის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად, ამავე სასამართლოს 2009 წლის 22 ოქ-

ტომბრის განჩინებით ე. მ-ძის კერძო საჩივარი, გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის განჩინებაზე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, დარჩა განუხილველად.

ე. მ-ძის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინების უსწორობის გასწორება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ე. მ-ძის წარმომადგენელ მ. ლ-ძის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ე. მ-ძის წარმომადგენელმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა და მოითხოვა უსწორობის გასწორება არა მექანიკურ, არამედ პროცესუალურ საკითხებზე, რაც სცილდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძო საჩივრის ავტორი შეცდომად თვლის სააპელაციო სასამართლოს მიერ ვადის არასწორად ათვლას, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს მექანიკურ ან არითმეტიკულ შეცდომად.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 260-ე მუხლის დარღვევის ფაქტი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ე. მ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობისა და შკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება**

#### **განჩინება**

1ას-117-111-10

20 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ხელშეშლის აღკვეთა, პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 29 დეკემბერს ა. ჯ-ძემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. მან მიუთითა, რომ ტ. ო-ძემ მის საკუთრებაში არსებული 6 კვტ. სიმძლავრის, 2000 მეტრი სიგრძის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი (მიწისქვეშა კაბელის) მითვისა და გაანადგურა, რომელსაც მოსარჩელე თანასაკუთრების უფლებით ფლობდა, სარგებლობდა და განკარგავდა აწ გარდაცვლილ მეუღლე ა. ჩ-ძესთან ერთად.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მოპასუხე ტ. ო-ძემ შეიძინა მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით, სწორედ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ქვეშ გადიოდა 6 კვტ. კაბელის ქსელი. მოსარჩელის განცხადებით, მოპასუხემ ისარგებლა აღნიშნული მდგომარეობით და თვითნებურად ჩაჭრა დენის კაბელები და მიუერთა მის მიერ ახლად შეძენილ ტრანსფორმატორს, რის შედეგადაც 600 მეტრი კაბელი დარჩა ძაბვის გარეშე, რითაც ვეღარ სარგებლობს მოსარჩელე ა.ჯ-ძე. აღნიშნულიდან გამონდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის მხრიდან მისი საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთა, სადავო ნივთის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ტ. ო-მემ შესაგებელი შეიტანა სასამართლოში და მიუთითა, რომ ყოფილი აეროპორტის ტერიტორიაზე არსებულ ნაკვეთს იჯარით ფლობდა ტ.ო-მე თავის ცოლის ძმასთან ერთად 1991 წლიდან, ხოლო 2007 წელს მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მის სახელზე.

მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ 17 წელია ფლობს და განკარგავს მის ტერიტორიაზე გამავალ მაღალი ძაბვის ელექტროსადენს. ასევე, მოპასუხე ტ.ო-მემ დააფუძნა შპს „... 97“ და აწარმოებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტს, რის გამოც დაამონტაჟა საკუთარი ტრანსფორმატორი. სს „ენერგო პროჯორჯიამ“ უარი განუცხადა მოპასუხის მიერ დამონტაჟებული ტრანსფორმატორის ქსელთან მიერთებაზე, რადგანაც ა.ჯ-მეს აღნიშნულთან დაკავშირებით უკვე შეტანილი ჰქონდა სარჩელი სასამართლოში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს მიადგა მატერიალური ზიანი, რადგანაც „ტაოპრივატბანკიდან“ გამოტანილი ჰქონდა სესხი სამეწარმეო კომპანიის დასაფუძნებლად და იხდიდა პროცენტს.

2009 წლის 3 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე ა.ჯ-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ა. ჯ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ა. ჯ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის განჩინებით გასწორდა ამავე სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, განჩინების გამოტანის თარიღად მითითებულია 2009 წლის 24 ნოემბერი, ნაცვლად 2009 წლის 3 დეკემბრისა, ასევე, აღნიშნული საქმის ნომერია 12/ზ-581, ხოლო განჩინებაში მითითებულია 2/ზ-904, რაც არასწორია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ჯ-მემ. მან მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა სასამართლომ თავისი ინიციატივით შეასწორა. კერძო საჩივრის ავტორის აზრით, გარდა აღნიშნული უსწორობისა მითითებულ განჩინებაში სხვა შეცდომაც არის, რომელიც უნდა გამოსწორდეს, კერძოდ, არასწორია განჩინების გამოტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, როცა, ამავე კოდექსის 390-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტი, რაც არასწორია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ა. ჯ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებას საქმის ფაქტობრივ ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

ამავე კოდექსის 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით.

მოცემულ შემთხვევაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული იყო უსწორობა, კერძოდ, განჩინების გამოტანის თარიღად მითითებული იყო 2009 წლის 24 ნოემბერი, ნაცვლად 2009 წლის 3 დეკემბრისა, ასევე, აღნიშნული საქმის ნომერია 12/ზ-581, ხოლო განჩინებაში მითითებული იყო 2/ზ-904. აღნიშნული შეცდომა გასწორდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის განჩინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა განჩინებაში მითითებული პროცესუალური ნორმების შესწორება, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის შეცვლა ამავე კოდექსის 390-ე მუხლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. ჯ-მე კერძო საჩივარში არ უთითებს და, შესაბამისად, ვერ ადასტურებს ისეთ გარემოებას, რომლებიც მიუთითებენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის დარღვევის ფაქტზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ა. ჯ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 იანვრის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გადაწყვეტილებაში დაშვებული  
უსწორობის გასწორება**

**განჩინება**

1ას-307-289-10

8 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),  
მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა, მემკვიდრეობის ფაქტობრივად მიღებულად და წილის მესაკუთრედ ცნობა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით შ. ა-ურის სარჩელი ნ. და ო. ა-ურების მიმართ ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის, მემკვიდრეობის ფაქტობრივად მიღებულად და წილის მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელე შ. ა-ურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. მოსარჩელეს აღნიშნული განჩინება ჩაჰბარდა 2010 წლის 28 იანვარს. შ. ა-ურმა საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე წარადგინა 2010 წლის 2 მარტს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 7 აპრილის განჩინებით შ. ა-ურის საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის განჩინებით გასწორდა 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული უზუსტობა, კერძოდ, განჩინების მიღების – «2009 წლის 22 ოქტომბრის» ნაცვლად მიეთითა: «2009 წლის 19 ნოემბერი».

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შ. ა-ურმა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2010 წლის 28 იანვარს მას დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება ჩაჰბარდა, რადგან მასში დაშვებული იყო შეცდომა. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაში დაშვებული უსწორობა გასწორდა 2010 წლის 4 მარტს, სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადის დენაც სწორედ ამ განჩინების ჩაბარების დღიდან უნდა აითვალოს. აქედან გამომდინარე, შ. ა-ური კერძო საჩივრით ითხოვს საკასაციო საჩივრის წარდგენისათვის ვადის დანიშვნას.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს და საქმის მასალებს და მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 4 მარტის განჩინებით გასწორდა ამავე პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებული უზუსტობა და ნაცვლად «2009 წლის 22 ოქტომბრისა», განჩინების გამოტანის თარიღად აღინიშნა: «2009 წლის 19 ნოემბერი».

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს საკასაციო საჩივრის წარდგენისათვის 1-თვიანი ვადის აღდგენა და ამ ვადის ათვლა უსწორობის გასწორების განჩინების ჩაბარების დღიდან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის ვადის ათვლა ვერ დაუკავშირდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 4 მარტის განჩინების ჩაბარებას, ვინაიდან აღნიშნული განჩინებით ადგილი ჰქონდა ამავე სასამართლოს განჩინებაში მხოლოდ ტექნიკური ხასიათის უსწორობის გასწორებას, რაც არ წარმოადგენს არსებითი ხასიათის უზუსტობას, რომელიც გავლენას მოახდენდა განჩინების დასაბუთებულობაზე და მისი გასაჩივრების ვადაზე.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შ. ა-ური კერძო საჩივარში არათუ მიუთითებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს უსწორობის გასწორების შესახებ განჩინების გაუქმების სამართლებრივ მოტივებზე, არამედ საერთოდ არ ითხოვს აღნიშნული განჩინების გაუქმებას, შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შ. ა-ურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **უსწორობის გასწორება**

##### **განჩინება**

1ას-571-879-09 20 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სუხლანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. მ-ძის წარმომადგენლის თ. წ-ელის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის 1ას-571-879-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ საკითხი.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინებით ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინება;

ნ. მ-ძის წარმომადგენელმა თ. წ-ეელმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა აღნიშნულ განჩინებაში უსწორობის გასწორება იმ საფუძველით, რომ განჩინების აღწერილობით ნაწილში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, არასწორად არის მითითებული ნ. მ-ძის საცხოვრებელი ბინის მისამართი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა ნ. მ-ძის წარმომადგენლის – თ. წ-ელის განცხადების შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საკასაციო პალატის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინების აღწერილობით ნაწილის მეორე აბზაცის სიტყვები: «ქ. თბილისში, ... 142 კორპუსში მდებარე 18 ბინას» უნდა შეიცვალოს სიტყვებით: «ქ. თბილისში, ... 142 კორპუსში მდებარე 168 ბინას».

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

## დაადგინა:

ნ. მ-ძის წარმომადგენლის თ. წ-ელის განცხადება დაკმაყოფილდეს;  
გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის 'ას-571-879-09 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების აღწერილობითი ნაწილის მეორე აბზაცის სიტყვები: «ქ. თბილისში, 142 კორპუსში მდებარე 18 ბინას» შეიცვალოს სიტყვებით: «ქ. თბილისში, ... 142 კორპუსში მდებარე 168 ბინას».

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### განჩინება

1ას-640-601-2010 1 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორება

### აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის პირველი ივლისის გადაწყვეტილებით მ. მ-ძისა და ნ. მ-ძის სარჩელი ს. ყ-ძისა და ე. ჩ-ოვა-ყ-ძის მიმართ მოპასუხეთათვის ქმედების დავალდებულების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს მოსარჩელებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ძისა და ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის პირველი ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ქ. ბათუმში, ... პირველი შესახვევის 114-ში მდებარე ს. ყ-ძის ერთპიროვნულ საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი 28.81 კვ.მ-ის ბინის – 1/4-ის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღირიცხა ნ. (ე.) ჩ-ოვა-ყ-ძე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის პირველი თებერვლის განჩინებით ს. ყ-ძის საკასაციო საჩივრი დაუშვებლად იქნა მიჩნეული და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მ. (მ.) მ-ძისა და ნ. მ-ძის განცხადების საფუძველზე, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 12 აპრილს გასცა სააღსრულებო ფურცელი.

2010 წლის 7 მაისს მ. (მ.) მ-ძემ და ნ. მ-ძემ განცხადებით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაში და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება იმგვარად, რომ მოვალეების – ს. და ე. ყ-ძეების მისამართად ნაცვლად – «ბათუმი, ... პირველი შესახვევი 114-ისა და ბათუმი, ... პირველი შესახვევი 141-ისა» – მითითებულიყო მისამართი: «ბათუმი, ... პირველი შესახვევი 14».

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის განჩინებით მ. (მ.) მ-ძისა და ნ. მ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა, გასწორდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და გადაწყვეტილების ტექსტში მითითებული, ს. ყ-ძის საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი ბინის მისამართად, ნაცვლად – «ბათუმი, ... პირველი შესახვევი 114»-ისა, მიეთითა «ბათუმი, ... პირველი შესახვევი 14»; გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: «სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ქ. ბათუმში, ... პირველი შესახვევის 14-ში მდებარე ს. ყ-ძის ერთპიროვნულ საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი ბინის, ფართით 28,81 კვ.მ-ის 1/4-ის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღირიცხოს ნ. (ე.) ჩ-ოვა-ყ-ძე». ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტი-

ლების აღსრულების მიზნით გაიცა ახალი სააღსრულებო ფურცელი, სადაც მოვალეთა მისამართად მითითებულ იქნა ბათუმი, ... პირველი შესახვევი <sup>14</sup>.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და გზავნილების მიღება-ჩაბარების შეტყობინების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარეების – ს. ყ-ძისა და ე. ჩ-ოვა-ყ-ძის საცხოვრებელი მისამართი იყო ბათუმი, ... პირველი შესახვევი <sup>14</sup>, შესაბამისად, სასამართლომ განცხადება საფუძვლიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ს. ყ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არასწორად დააკმაყოფილა მ. (მ.) მ-ძისა და ნ. მ-ძის განცხადება გადაწყვეტილებაში ისეთი შინაარსის მითითების შესახებ, რომელსაც მხარეები არ ითხოვდნენ, ვინაიდან გადაწყვეტილებაში მოსარჩელების მოთხოვნას სარჩელით თავიდანვე წარმოადგენდა ქ.ბათუმში, ... პირველი შესახვევის <sup>14</sup>-ში მდებარე ქონების ს. ყ-ძისა და მისი მეუღლის ე. ყ-ძის თანასაკუთრებად აღრიცხვა, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა, შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შესაბამისობაში იყო მოსარჩელეთა მოთხოვნასთან და არავითარ უსწორობას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრების საფუძველები და თვლის, რომ ს. ყ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 25 სექტემბრის** გადაწყვეტილებით მ. მ-ძისა და ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს **2008 წლის** პირველი ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ქ.ბათუმში, ... პირველი შესახვევის <sup>14</sup>-ში მდებარე ს. ყ-ძის საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი **28.81 კვ.მ-ის – 1/4-ის** მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღრიცხა ნ. (ე.) ჩ-ოვა-ყ-ძე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და მისი აღსრულების მიზნით გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც მოვალეთა მისამართად მითითებულია ქ.ბათუმი, ... პირველი შესახვევის <sup>14</sup>.

განმცხადებლები (კრედიტორები) მ. მ-ძე და ნ. მ-ძე მოითხოვენ შესწორების შეტანას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 25 სექტემბრის** გადაწყვეტილებაში და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში იმ საფუძველით, რომ გადაწყვეტილებაში და სააღსრულებო ფურცელში შეცდომითაა მითითებული სადავო უძრავი ქონების და მოვალეთა მისამართები. კერძოდ, უძრავი ქონების მისამართად, ნაცვლად ქ.ბათუმი, ... პირველი შესახვევის <sup>14</sup>, გადაწყვეტილებაში შეცდომით მითითებულია «ქ.ბათუმი, ... პირველი შესახვევის <sup>14</sup>», ხოლო სააღსრულებო ფურცელში მოვალეთა მისამართად – ქ.ბათუმი, ... პირველი შესახვევის <sup>14</sup>.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **260-ე** მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილებაში შეიტანოს ისეთი შესწორებები, რომლებიც არსებითად არ ცვლის გადაწყვეტილებას, მის აზრსა და შინაარსს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერით, მოვალის – ს. ყ-ძის პირადობის მოწმობის ასლით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის წერილით დადგენილია, რომ სადავო უძრავი ქონება მდებარეობს ქ.ბათუმში, ... პირველი შესახვევის <sup>14</sup>-ში და ამავე მისამართზეა რეგისტრირებული მოვალე. ამდენად, ნათელია, რომ გადაწყვეტილებაში და სააღსრულებო ფურცელში დაშვებულია მექანიკური უწორობანი, კერძოდ, უძრავი ქონების მისამართად, ნაცვლად «ქ.ბათუმი, ... პირველი შესახვევის <sup>14</sup>», გადაწყვეტილებაში შეცდომით მითითებულია «ქ.ბათუმი, ... პირველი შესახვევის <sup>14</sup>», ხოლო სააღსრულებო ფურცელში მოვალეთა მისამართად – «ქ.ბათუმი, ... პირველი შესახვევის <sup>14</sup>». აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შესაბამისობაში იყო მოსარჩელეთა მოთხოვნასთან და არავითარ უსწორობას არ არსებობდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 24 მაისის** განჩინება კანონიერია და არ არსებობს ს. ყ-ძის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **419-ე** და **420-ე** მუხლებით და

## დაადგინა:

1. ს. ყ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### განჩინება

1ას-902-1209-07

28 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემდგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

**განხილვის საგანი:** საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინებაში უსწორობის გასწორება

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინებით ი. კ-ძის კერძო საჩივარი საქმეზე წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის განჩინება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ი. კ-ძემ, რომელმაც მოითხოვა საკასაციო სასამართლოს ზემოთ დასახელებული განჩინების ბათილად ცნობა და მოცემულ საქმეზე წარმოების განახლება.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ 2010 წლის ივნისის თვეში, როდესაც იგი აპირებდა სასამართლო გადაწყვეტილებით ბინის მასზე მიკუთვნებული წილის საკუთრებაში აღრიცხვას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 17 მარტის განჩინებაში აღმოაჩინა ცდომილება. საკასაციო სასამართლოს მითითებული განჩინებით მისი კერძო საჩივრით განსახილველ საქმეზე უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 17 ივლისის განჩინება. ასეთი განჩინება საქმეზე რეალურად არ არსებობდა. საქმის მასალებში მოიპოვება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 6 ივლისის განჩინება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ი. კ-ძის (წარმომადგენელი ნ. გ-ძე) განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტში დაშვებული უსწორობა, შემდეგ გარემოებათა გამო:

დასახელებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოდ მითითებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, ნაცვლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა, ხოლო გასაჩივრებული განჩინების გამომტანის თარიღად – 2006 წლის 17 ივლისი, ნაცვლად თარიღისა – 2007 წლის 2 ოქტომბერი.

ზემოაღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს განჩინებაში დაშვებულ უსწორობას, რომელიც გამოწვეულია მექანიკური ხასიათის ხარვეზით, განჩინება დაბეჭდილია კომპიუტერის მეშვეობით, რა დროსაც არასწორად მიეთითა გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, ნაცვლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა, ხოლო გასაჩივრებული განჩინების გამომტანის თარიღად – 2006 წლის 17 ივლისი, ნაცვლად – 2007 წლის 2 ოქტომბერი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემომითითებული უსწორობა სასამართლოს ინიციატივით ექვემდებარება გასწორებას, შესაბამისად, უნდა გასწორდეს საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 17 მარტის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში დაშვებული უსწორობა და გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოდ ნაცვლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა.



ტისა მიეთითოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ხოლო გასაჩივრებული განჩინების გამოტანის თარიღად – 2007 წლის 2 ოქტომბერი, ნაცვლად 2006 წლის 17 ივლისისა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში გასწორდეს დაშვებული უსწორობა და გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოდ მიეთითოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ნაცვლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა, ხოლო გასაჩივრებული განჩინების გამოტანის თარიღად – 2007 წლის 2 ოქტომბერი, ნაცვლად 2006 წლის 17 ივლისისა.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უსწორობის გასწორება**

#### **განჩინება**

1ას-274-259-2010

5 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. კვანტალიანი,**  
**პ. ქათამაძე**

**განხილვის საგანი:** უსწორობის გასწორება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით თ. კ-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება თ. კ-ავასათვის სამკვიდრო წილის გამოყოფაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; თ. კ-ავას სარჩელი ქობულეთში, ... ქ. 1193-ში მდებარე სახლიდან სამკვიდრო წილის გამოყოფის ნაწილში დაკმაყოფილდა – თ. კ-ავა ცნობილ იქნა ქობულეთში, ... ქ. 1193-ში მდებარე სახლის 1/2-ში მემკვიდრედ და მესაკუთრედ, შესაბამისი, ცვლილება იქნა შეტანილი 1994 წლის 29 აგვისტოს ე. თ-ავას სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში და ქობულეთში, ... ქ. 1193-ში მდებარე სახლის 1/2 აღირიცხა თ. კ-ავას საკუთრებად; დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა თ. კ-ავამ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ დასახელებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებულია მექანიკური შეცდომა, კერძოდ, სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართად მითითებულია ქობულეთი, ... ქ. 1139, ნაცვლად მისამართისა: ქობულეთი, ... ქ. 1193. განმცხადებელი ითხოვს გადაწყვეტილებაში დაშვებული ზემოაღნიშნული უსწორობის გასწორებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო თ. კ-ავას განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან ამკარა არითმეტიკული შეცდომები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებაში ნაცვლად სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართისა: ქობულეთი, ... ქ. 1193, მითითებულია: ქობულეთი, ... ქ. 1139.

ზემოაღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოცემული საქმის წარმოების მასალები ხშირ შემთხვევაში სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართად მიუთითებს მისამართზე: ქობულეთი, ... ქ. 1139.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული გარემოება, როგორც გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, ექვემდებარება გასწორებას. აქედან გამომდინარე, უნდა შესწორდეს საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართისა: ქობულეთი, ... ქ. 1139, მიეთითოს: ქობულეთი, ... ქ. 1193.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებაში გასწორდეს დაშვებული უსწორობა და ნაცვლად სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართისა: ქობულეთი, ... ქ. 1139, მიეთითოს: ქობულეთი, ... ქ. 1193.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უარი უსწორობის გასწორებაზე**

#### **განჩინება**

1ას-817-766-2010

8 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ლ. ლაზარაშვილი,**

**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

კ. კ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. ბ-მისა და მ. ვ-მის მიმართ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის ოჯახი 1925 წლიდან ცხოვრობს ქ.ბათუმში, ... ქ.139/9-ში მდებარე სახლთმფლობელობაში, იხდის კომუნალურ გადასახადებს და აწარმოვა არა ერთი მიშენება თუ სარემონსტო სამუშაოები. სახლის მესაკუთრეებად ირიცხებიან მოპასუხეები, რომელთაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 2000 წლის 27 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უარი ეთქვათ კ.კ-მისა და მისი ოჯახის მფლობელობიდან სადავო უძრავი ნივთის გამოთხოვაზე. გადაწყვეტილებით დადგინდა სადავო ფართში მოსარჩელეთა კეთილსინდისიერად, «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე ცხოვრების ფაქტი.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ.კ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით კ. კ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი დაკმაყოფილდა – ქ.ბათუმში, ... ქ.139/9-ში მდებარე ლიტერ «ბ-ს» მეორე სართულზე არსებულ, ვ. ბ-მის სახელზე რიცხულ 122 და 124 ოთახებზე, ასევე, ლიტერ «ა-ს» მეორე სართულზე მდებარე მ. ვ-მის სახელზე რიცხულ 11 ოთახზე აღიარებულ იქნა კ. კ-მის საკუთრების უფლება სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის მოპასუხეთათვის გადახდის სანაცვლოდ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით მ.ვ-მისა და ვ.ბ-მის საკასაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობის გამო.

კ. კ-მემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა 2009 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება, კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კ.კ-მისათვის მიკუთვნებული '22 და '24 ოთახების ნაცვლად '24 და '31 ოთახების მითითება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 აგვისტოს განჩინებით კ.კ-მის განცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კ.კ-მე არც ერთი ინსტანციის სასამართლოში სადავო სახლთმფლობელობის '31 ოთახის მიკუთვნებაზე არ დავობდა და ითხოვდა '22 და '24 ოთახებზე საკუთრების უფლების გადაცემას. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით და ჩათვალა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული უზუსტობა საქმის მასალებით არ დასტურდება. პალატამ განმარტა, რომ ვერ იმსჯელებს იმ ოთახის მხარისათვის მიკუთვნებაზე, რაზეც ამ უკანასკნელს მანამდე პრეტენზია არ განუცხადებია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კ.კ-მის წარმომადგენელმა ა.ბ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და უსწორობის გასწორების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: საქმეში წარმოდგენილი ტექნიურის მასალებითა და სადავო ფართის აზომვითი ნახაზებით დგინდება, რომ კ. კ-მის სარგებლობასა და მფლობელობაში იყო '31 და '24 ოთახები. სააპელაციო სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ისარგებლა არასწორი ტექნიკური ნახაზით, სადაც შეცდომით დატანილი იყო '22 ოთახი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. კ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი ითვალისწინებს რა სამართალწარმოების პროცესში საპროცესო დოკუმენტების შედგენისას გარკვეული უზუსტობის არსებობას, შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საკუთარი სურვილით ან მხარის მოთხოვნით გამოასწოროს გადაწყვეტილებაში არსებული შეცდომები. ამავდროულად, აღნიშნული ნორმის მიზანია, აღმოიფხვრას ისეთი უსწორობანი, რომელთაც შეუძლიათ, არსებითად იმოქმედონ საქმის გადაწყვეტისა თუ ცალკეული საპროცესო მოქმედებების სწორად შესრულების სამართლებრივ შედეგზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ კ.კ-მის მოთხოვნა არ შეესაბამება ზემოხსენებული ნორმით განსაზღვრული უსწორობის გასწორების წესს, რადგან მხარეს არ მიუთითებია სასამართლოს მიერ დაშვებულ უსწორობაზე. ფაქტობრივად იგი ითხოვს განსხვავებული შინაარსის გადაწყვეტილების მიღებას, რაც დაუშვებელია და გასაჩივრებული განჩინებით მართებულად არ დაკმაყოფილდა.

დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ მხარეს სადავო სახლთმფლობელობის '31 ოთახი საქმის არსებითად განხილვისას არც ერთი ინსტანციის სასამართლოში არ მოუთხოვია, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებაში რაიმე უსწორობის გასწორების აუცილებლობა მხარემ ვერ დაასაბუთა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

კ. კ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო გადაწყვეტილებაში  
უსწორობის გასწორება**

**განჩინება**

13კ/888

8 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით კ. კ-იანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სახაზინო საწარმო «ს-ს» 12 წარმომადგენლობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროულად 56 ლარის და 2000 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიურად 14 ლარის გადახდა

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. კ-იანმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. კ-იანმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 4 ოქტომბრის განჩინება და გამოტანილ იქნა ახალი გადაწყვეტილება, კ. კ-იანის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე მხარეს – შპს «ს-ს» კ.კ-იანის სასარგებლოდ 1995 წლის 1 იანვრიდან დაეკისრა 2000 წლის 31 დეკემბრამდე ერთდროულად 1576 ლარისა და 80 თეთრის, ხოლო 2001 წლის პირველი იანვრიდან ყოველთვიურად 39 ლარის გადახდა.

2010 წლის 15 სექტემბერს კ. კ-იანმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემა იმ საფუძველით, რომ მოვალის - სახაზინო საწარმო «ს.» თბილისის 12 წარმომადგენლობის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს შპს «კო.».

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძველიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კ. კ-იანის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:

თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით კ. კ-იანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სახაზინო საწარმო «ს.» თბილისის 12 წარმომადგენლობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროულად 56 ლარის და 2000 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიურად 14 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით კ. კ-იანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 4 ოქტომბრის განჩინება და გამოტანილ იქნა ახალი გადაწყვეტილება, კ. კ-იანის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე მხარეს – შპს «ს-ს» კ.კ-იანის სასარგებლოდ 1995 წლის 1 იანვრიდან დაეკისრა 2000 წლის 31 დეკემბრამდე ერთდროულად 1576 ლარისა და 80 თეთრის, ხოლო 2001 წლის პირველი იანვრიდან ყოველთვიურად 39 ლარის გადახდა, მოპასუხე შპს «ს-ს» გადახდა 60 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის ინფორმაციის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «კო.» (ს/კ 209466852) რეესტრირებულია 10/03/2000 წელს გლდან-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მიერ (სა-

ხელმოწიფო რეგისტრაციის ნომერი: 1/4-1120). შპს «კ.» წარმოადგენს სახაზინო საწარმო «ს.» თბილისის 12 წარმომადგენლობის სამართალმემკვიდრეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილების მიღებამდე, კერძოდ, 2000 წლის 10 მარტს, მოპასუხე - სახაზინო საწარმო «ს.» თბილისის 12 წარმომადგენლობის ბაზაზე დაფუძნდა შპს «კ.», რომელიც ხსენებული სახაზინო საწარმოს სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს. მოპასუხის სამართალმემკვიდრეობის ფაქტი აისახა უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებაში, მაგრამ მასში შეცდომით იქნა მითითებული მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) სახელწოდება, კერძოდ, გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში შპს «კ-ს» ნაცვლად მიეთითა შპს «კ.», ხოლო სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში – შპს «ს.».

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

განსახილველ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, მოპასუხე მხარედ შეცდომით მითითებულია შპს «ს.», ნაცვლად შპს «კ-სა», რაც გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების კანონით გათვალისწინებულ წინაპირობას წარმოადგენს.

რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, გადაწყვეტილებაში დასახელებული მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობა არ არსებობს, ვინაიდან, ჯერ ერთი, მოპასუხის (მოვალის) მიმართ უფლებამონაცვლეობის (სამართალმემკვიდრეობის) ფაქტი დადგა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე და არა ამ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. მეორე, რამდენადაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა გასწორდა და მოპასუხე მხარედ, ნაცვლად შპს «ს-სა», მიეთითა შპს «კ.», ამიტომ აღსრულებაც ამ უკანასკნელის მიმართ უნდა განხორციელდეს (გაგრძელდეს).

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. კ. კ-იანის განცხადება არ დაკმაყოფილდეს.

2. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 5 იანვრის 3კ/888 გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში სიტყვები «მოწინააღმდეგე მხარე – შპს «კ.» გასწორდეს სიტყვებით «მოწინააღმდეგე მხარე – შპს «კ.», ხოლო ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში სიტყვები «მოპასუხე მხარე – შპს «ს.» გასწორდეს სიტყვებით «მოპასუხე მხარე – შპს «კ.».

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **უსწორობის გასწორება**

#### **განჩინება**

1ას-1199-1460-09

8 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

განხილვის საგანი: უსწორობის გასწორება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს ავტორთა საზოგადოების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – თბი-

ლისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 მაისის განჩინება უცვლელად დარჩა საქართველოს ავტორთა საზოგადოებისათვის ჰონორარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში; დანარჩენ ნაწილში გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს ავტორთა საზოგადოების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს «ბ-ს» აკრძალა საქართველოს ავტორთა საზოგადოების რეპერტუარში შემავალი მუსიკალური ნაწარმოებების კაბელით გადაცემა საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებული სალიცენზიო შეთანხმების გარეშე.

საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებულია ტექნიკური უსწორობა, კერძოდ, მასში დადგენილია შპს «ბ-სათვის» ავტორთა საზოგადოების რეპერტუარში შემავალი მუსიკალური ნაწარმოებების კაბელით გადაცემის აკრძალვა საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებული სალიცენზიო შეთანხმების გარეშე. სინამდვილეში მხარის მოთხოვნას წარმოადგენდა, სასამართლოს შპს «ბ-სათვის» აკრძალა მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემა (კაბელით ხელახალი გადაცემა) საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებული სალიცენზიო შეთანხმების გარეშე.

განმცხადებელი განმარტავს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა იწვევს გაურკვევლობას და სხვა სამართლებრივ შედეგს. სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია ზოგადად კაბელით გადაცემაზე, ხოლო მოპასუხე შპს «ბ.» ახორციელებდა და დღესაც ახორციელებს კაბელით გადაცემას (კაბელით ხელახალ გადაცემას). ამდენად, განმცხადებელი ითხოვს არსებული უსწორობის გასწორებას, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სიტყვები: «კაბელით გადაცემა» შეიცვალოს სიტყვებით: «კაბელით გადაცემა (კაბელით ხელახალი გადაცემა)».

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქართველოს ავტორთა საზოგადოების განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში უსწორობა არ არსებობს და მითითებული ნორმით გათვალისწინებული უსწორობის გასწორების საფუძვლები არ არის სახეზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულ კაბელით გადაცემაში იგულისხმება სწორედ კაბელით ხელახალი გადაცემა. განმცხადებელიც თავის მოთხოვნას მოცემულ საქმეზე აყენებდა იმგვარად, რომ კაბელით გადაცემის აკრძალვაში გულისხმობდა სწორედ კაბელით ხელახალი გადაცემის აკრძალვას. გადაწყვეტილების შინაარსიდან აღნიშნული სრულიად ნათელია. ამდენად, სიტყვები: «კაბელით გადაცემა» ამ შემთხვევაში არ არის გადაწყვეტილებაში არასწორად და შეცდომით გამოყენებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლის მოთხოვნა გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების თაობაზე დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს ავტორთა საზოგადოების განცხადება არ დაკმაყოფილდეს;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება

### განჩინება

1ას-68-65-2010

11 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** საავტორო უფლებების დაცვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ტვ-ერას“ მიმართ მუსიკალური ნაწარმოების სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე კაბელით გადაცემისათვის 439710 ლარის დაკისრების, სადავო ნაწარმოების კაბელით გადაცემის (კაბელით ხელახალი გადაცემის) აკრძალვის მოთხოვნით. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ავტორთა საზოგადოების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ტ-ს“ აკრძალა მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემა (კაბელით ხელახალი გადაცემა) მოსარჩელესთან სალიცენზიო შეთანხმების გარეშე, ხოლო მოპასუხისათვის ფულადი კომპენსაციის დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შპს „ტ-ამ“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

მოცემული საქმე არაერთხელ განხილულ იქნა ზემოდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ და საბოლოოდ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ტ-ას“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს „ტ-სათვის“ მოსარჩელესთან სალიცენზიო შეთანხმების გარეშე მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემის (კაბელით ხელახალი გადაცემის) აკრძალვის ნაწილში გაუქმდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ავტორთა საზოგადოების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქართველოს ავტორთა საზოგადოების სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ტ-ს“ აკრძალა საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებული სალიცენზიო შეთანხმების გარეშე საქართველოს ავტორთა საზოგადოების რეპერტუარში შეძვარი მუსიკალური ნაწარმოებების კაბელით გადაცემა.

საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: საქართველოს ავტორთა საზოგადოების სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა შპს „ტ-სათვის“ საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებული სალიცენზიო შეთანხმების გარეშე მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემის (კაბელით ხელახალი გადაცემის) აკრძალვა. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მოპასუხეს აკრძალა სადავო ნაწარმოებების ზოგადად კაბელით გადაცემა. შპს „ტ-ს“ კი დღემდე ახორციელებს ნაწარმოებთა კაბელით გადაცემას (კაბელით ხელახალ გადაცემას), რითაც ირღვევა განმცხადებლის უფლებები. ამდენად, ზემოხსენებული უზუსტობა უნდა გასწორდეს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ავტორთა საზოგადოების განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად არ თვლის სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის სასამართლო სხდომაზე გადაწყვეტას.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი ითვალისწინებს სამართალწარმოების პროცესში საპროცესო დოკუმენტების შედგენისას გარკვეული უზუსტობის არსებობას და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საკუთარი სურვილით ან მხარის მოთხოვნით გამოასწოროს გადაწყვეტილებაში არსებული შეცდომები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საქართველოს ავტორთა საზოგადოების მოსაზრებას, რომ 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებულ იქნა უსწორობა და მის სარეზოლუციო ნაწილში შპს «ტ-სათვის» ნაწარმოების კაბელით გადაცემის აკრძალვასთან ერთად შეცდომით არ მიეთითა კაბელით ხელახალი გადაცემის აკრძალვაზე, კერძოდ:

საქართველოს ავტორთა საზოგადოება სარჩელით მოითხოვდა მოპასუხისათვის სადავო მუსიკალური ნაწარმოებების კაბელით გადაცემის (კაბელით ხელახალი გადაცემის) აკრძალვას, რაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა და სავსებით ნათლად აისახა მის სარეზოლუციო ნაწილში.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით შპს «ტ-ს» აკრძალა საქართველოს ავტორთა საზოგადოების რეპერტუარში შემავალი მუსიკალური ნაწარმოებების კაბელით გადაცემა საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებული სალიცენზიო შეთანხმების გარეშე, რაც თავის თავში მოიცავს მოპასუხისათვის საქართველოს ავტორთა საზოგადოების რეპერტუარში შემავალი მუსიკალური ნაწარმოებების კაბელით ხელახალი გადაცემის აკრძალვასაც, შესაბამისად, აღნიშნულის თაობაზე ცალკე მითითებისა და უსწორობის გასწორების სამართლებრივი აუცილებლობა არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს ავტორთა საზოგადოების განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სასამართლო გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორება**

#### **განჩინება**

1ა-2256-ბ-22-2010

29 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ნ. კვანტალიანი

**განხილვის საგანი:** უსწორობის გასწორება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით თ. კ-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება თ. კ-ავასათვის სამკვიდრო წილის გამოყოფაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; თ. კ-ავას სარჩელი ქობულეთში, ... ქ. 1193-ში მდებარე სახლიდან სამკვიდრო წილის გამოყოფის ნაწილში დაკმაყოფილდა; თ. კ-ავა ცნობილ იქნა ქობულეთში, ... ქ. 1193-ში მდებარე სახლის 1/2-ში მემკვიდრედ და მესაკუთრედ, შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი 1994 წლის 29 აგვისტოს ე. თ-ავას სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში და ქობულეთში, ... ქ. 1193-ში მდებარე სახლის 1/2 აღირიცხა თ. კ-ავას საკუთრებად; დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ნ. თ-ავამ, რომელმაც მოითხოვა ზემომითითებული 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინებით ნ. თ-ავას განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2010 წლის 22 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა თ. კ-ავამ (წარმომადგენელი ვ. ხ-შვილი). განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, მასში განმცხადებლად მითითებულია თ. კ-ავაზე, ნაცვლად განმცხადებლისა ნ. თ-ავა. აქედან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს არსებული უსწორობის გასწორებას, კერძოდ, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში განმცხადებლად ნ. თ-ავაზე მითითებას, ნაცვლად განმცხადებლისა თ. კ-ავა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო თ. კ-ავას განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ნაცვლად განმცხადებლისა: «ნ. თ-ავა», მითითებულია: «თ. კ-ავა». ის გარემოება, რომ დასახელებულ საქმეზე განმცხადებელს წარმოადგენდა სწორედ ნ. თ-ავა და არა თ. კ-ავა, განჩინების შინაარსიდან სრულიად ნათელია.

ზემოაღნიშნული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მიხედვით, წარმოადგენს განჩინებაში დაშვებულ უსწორობას, რომელიც გამოწვეულია მექანიკური ხასიათის ხარვეზით და, შესაბამისად, ექვემდებარება გასწორებას. აქედან გამომდინარე, უნდა შესწორდეს საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა და ამავე განჩინების სარეზოლუციო ნაწილში, თ. კ-ავას ნაცვლად, განმცხადებლად უნდა მითითოს ნ. თ-ავა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინებაში გასწორდეს დაშვებული უსწორობა და განჩინების სარეზოლუციო ნაწილში «თ. კ-ავას» ნაცვლად მითითოს «ნ. თ-ავა».

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უსწორობის გასწორება**

#### **განჩინება**

1ა-2758-შ-76-2010

20 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ნ. კვანტალიანი

**განხილვის საგანი:** უსწორობის გასწორება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 დეკემბრის განჩინებით შ. ფ-ს შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზოლთაუს საუბნო სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების (საქმე 113 F 1760/09 შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა – საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და მიექცა აღსასრულებლად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზოლთაუს საუბნო სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოში ვაკის რაიონის მმაჩის ბიუროს მოხელის მიერ 2006 წლის 6 ივლისის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის <sup>1</sup> ...) გაუქმდა.

2010 წლის 15 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა შ. ფ-მ. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ დასახელებულ განჩინებაში არასწორად არის მითი-

თებულის შუამდგომლობის ავტორის გვარი, როგორც ვ-ი. მისი გვარი არის ფ-ი. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ შუამდგომლობაზე თანდართულ სასამართლო გადაწყვეტილების თარგმანში თარჯიმანმა დაუშვა მექანიკური შეცდომა, შუამდგომლობის ავტორის გვარი ნაცვლად ფ-სა თარგმნა როგორც ვ-ი. წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის გერმანიის სასამართლოს გადაწყვეტილების ახალი თარგმანი, სადაც შუამდგომლობის ავტორის გვარი მითითებულია როგორც ფ-ი. აქედან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული ზემოაღნიშნული უსწორობის გასწორებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო შ. ფ-ის განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს განჩინებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 დეკემბრის განჩინებაში ნაცვლად მხარეებისა: «შ. ფ-ი», «ე. ფ-ი», მითითებულია: «შ. ვ-ი», «ე. ვ-ი».

ზემოაღნიშნული განპირობებულია იმით, რომ შუამდგომლობაზე თანდართულ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზოლთაუს საუბნო სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების ქართულ თარგმანში მითითებულია შ. ვ-სა და ე. ვ-ზე, რაც, როგორც გამოირკვა, წარმოადგენს უსწორობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლიდან გამომდინარე, ზემომითითებული გარემოება, როგორც განჩინებაში დაშვებული უსწორობა, ექვემდებარება გასწორებას. აქედან გამომდინარე, უნდა შესწორდეს საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 6 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა – შ. ვ-სა და ე. ვ-ს ნაცვლად მხარეებად მიეთითონ შ. ფ-ი და ე. ფ-ი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 დეკემბრის განჩინებაში გასწორდეს დაშვებული უსწორობა – შ. ვ-სა და ე. ვ-ს ნაცვლად მხარეებად მიეთითონ შ. ფ-ი და ე. ფ-ი.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უსწორობის გასწორება**

#### **განჩინება**

1ას-192-183-10

23 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** განაცდურის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «...» საწარმოს მიმართ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ზეესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით შეწყდა საქმის წარმოება ნ. გ-მისათვის 2008 წლის 26 აგვისტოდან 2009 წლის 27 ივლისამდე პერიოდის იძულებითი მოცდენის ანაზღაურების ნაწილში, ნ. გ-მის სარჩელი 2009 წლის 27 ივლისიდან მის სამუშაოზე აღდგენამდე პერიოდისათვის იძულებითი მოცდენის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ნ. გ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი, რომლითაც სარჩელი იძულებითი მოცდენის თანხის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «... საწარმოს» დირექტორმა ვ. თ-მემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივლისის განჩინებით მოცემული საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დაუშვებლად და კასატორ შპს „... საწარმოს“ დაუბრუნდა ვ. თ-მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან – თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების 1200122900 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი – 1220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – 1300773150, დანიშნულება – სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე. სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში ასევე გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი.

ვ. თ-მემ განცხადებით მომართა სასამართლოს და განმარტა, რომ მის მიერ გადახდილი, საქმეში წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟი ჩარიცხულია საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდზე 1300193150 და არა განჩინებასა და სააღსრულებო ფურცელში მითითებულ სახაზინო კოდზე, რის გამოც კასატორი ვერ იბრუნებს მითითებულ თანხას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «... საწარმოს» დირექტორ ვ.თ-მის განცხადება საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის განჩინებასა და ამავე განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. დასახელებული მუხლის საფუძველზე სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში და ამ განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში არასწორად მიეთითა მოვალე სახელმწიფო ხაზის რეკვიზიტად «საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – 1300773150».

საქმეში წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითრების თანახმად, 2010 წლის 22 თებერვალს შპს «...საწარმოს» მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჩარიცხულია «ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდზე 1300193150», ხოლო საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინებასა და სააღსრულებო ფურცელში არასწორად მიეთითა «საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – 1300773150».

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს «... საწარმოს» დირექტორ ვ.თ-მის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «... საწარმოს» დირექტორ ვ.თ-მის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილსა და ამავე განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული მოვალის რეკვიზიტი «საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – 1300773150» გასწორდეს «საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი 1300193150-ით».

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### განჩინება

1ას-713-668-10

23 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ე. ი-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «... მიმართ და მოითხოვა მიუღებელი შემოსავლისათვის ზიანის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით ე. ი-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ი-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ე. ი-შვილის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დაუშვებლად. ამავე განჩინებით კასატორ ე. ი-შვილს დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 3144 ლარის 70% – 2200,8 ლარი, თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების 1200122900 ანგარიშიდან – სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი – 1220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – 1300773150, დანიშნულება – სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ე. ი-შვილმა და მოითხოვა საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებასა და ამ განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება.

განმცხადებლის განმარტებით, განჩინებაში ნაცვლად 3144 ლარისა, უნდა ეწეროს 3144.05 ლარი, შესაბამისად, აღნიშნული თანხის 70%-ის 2200.8 ლარის ნაცვლად – 2200.83 ლარი. წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ე. ი-შვილი, აღნიშნული უსწორობის გამო, ვერ იბრუნებს განჩინებაში მითითებულ თანხას.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ი-შვილის განცხადება საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებასა და ამავე განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხართა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში და ამ განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული არითმეტიკული შეცდომა, კერძოდ, არასწორად მიეთითა სახელმწიფო ბაჟის ოდენობა – «3144 ლარის 70% – 220.8 ლარი».

საქმეში წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითრების თანახმად, ე. ი-შვილმა წარმოადგინა 2010 წლის 17 ივლისის გადახდილი 300 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედანი, ხოლო მოგვიანებით – 2010 წლის 26 ივლისის გადახდილი 2844.05 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედანი. ამდენად, კასატორმა სახელმწიფო ბაჟის სახით სულ გადაიხადა 3144.05 ლარი (2844.05+300), აღნიშნული თანხის 70% კი, შეადგენს 2200.835 ლარს (3144.05X5%).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ე.ი-შვილის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ე. ი-შვილის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილსა და ამავე განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული «კასატორ ე. ი-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 3144 ლარის 70% – 2200,8 ლარი» გასწორდეს «კასატორ ე. ი-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 3144.05 ლარის 70% - 2200.835 ლარით».

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უსწორობის გასწორება**

**განჩინება**

1ა-2747-10

23 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** აქციათა რეესტრის მწარმოებელი ორგანოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობა, აქციათა მესაკუთრედ ცნობა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ბ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სს «კარკასულ-პანელოვანი ქარხანა «მ-ს», შპს «ეროვნული რეესტრისა» და შპს «მშ-ს» მიმართ აქციათა რეესტრის მწარმოებელი დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ განხორციელებული ჩანაწერების ბათილად ცნობისა და აქციათა მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით მ.ბ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით მ.ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ.ბ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით მ.ბ-შვილის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, კასატორს ასევე დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

მ.ბ-შვილმა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა, რადგანაც დაეკარგა მისი დედანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე კასატორს ეცნობა, რომ «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემისათვის მხარე ვალდებულია, დაადასტუროს სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის ფაქტი, აღნიშნული დადასტურება, რომ განჩინება, რომლის საფუძველზეც მოითხოვს სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემას, არ არის აღსრულებული.

საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მიმართვა მ.ბ-შვილს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 27 ნოემბერს, თუმცა კასატორს სასამართლოს მიერ დავალებული მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. ბ-შვილის განცხადება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

«სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში სასამართლოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია გასცეს დუბლიკატი.

დასახელებული ნორმა ადგენს, რომ სააღსრულებო ფურცლის გამცემი სასამართლო გასცემს სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატს იმ შემთხვევაში, თუ მხარემ დაკარგა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები ადგენს, რომ თითოეული მხარე ვალდებულია, სათანადო მტკიცებულების სასამართლოსათვის წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მოთხოვნისა თუ შუამდგომლობის საფუძვლიანობა. ამასთან, მტკიცებულება, განკუთვნიანობის თვალსაზრისით, უტყუარად უნდა ადასტურებდეს შუამდგომლობაში მითითებული გარემოების დასაბუთებულობას.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა მ.ბ-შვილმა მოითხოვა რა საარსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა, მას არც განცხადებაზე და არც საკასაციო სასამართლოს მიმართვის შემდეგ (რომელიც ადრესატს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა და პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 27 ნოემბერს. სასამართლოსათვის არ წარუდგენია სათანადო მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სააღსრულებო ფურცლის დაკარგვისა და საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინების აღუსრულებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. ბ-შვილის განცხადება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე არ არის დასაბუთებული და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

მ. ბ-შვილის განცხადება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უსწორობის გასწორება**

**განჩინება**

1ას-904-852-2010

24 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

პ. სილაგაძე

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 დეკემბრის 1ას-945-891-2010 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 დეკემბრის განჩინებით ი. ბ-მის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

საკასაციო პალატის ზემოაღნიშნულ განჩინებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, განჩინების პირველ გვერდზე საქმის ნომერ ას-904-852-2010-ის ნაცვლად მითითებულია საქმის ნომერი ას-945-891-2010.

**სამოტივაციო ნაწილი:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშ-

კარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 დეკემბრის 'ას-945-891-2010 განჩინების პირველ გვერდზე საქმის ნომერ ას-945-891-2010-ის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს საქმის ნომერი ას-904-852-2010.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 დეკემბრის 'ას-945-891-2010 განჩინების პირველ გვერდზე საქმის ნომერი ას-945-891-2010 შეიცვალოს საქმის ნომრით ას-904-852-2010;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **უსწორობის გასწორება**

#### **განჩინება**

'ას-1048-982-2010

24 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
მოსამართლე: მ. სულხანიშვილი**

**დავის საგანი:** მორიგების აქტის ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბ. ლ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «თ-ს» მიმართ 2005 წლის 20 მაისის მორიგების აქტის ბათილად ცნობისა და მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების მიზნით სს «თ-სათვის» 25000 ლარის დაკისრების, ასევე, უკანონოდ დაკისრებული ელექტრო ენერჯის საფასურის – 2600 ლარის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით ბ.ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად აპელანტის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო. ასევე განუხილველად იქნა დატოვებული ბ.ლ-შვილის კერძო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 29 დეკემბრის განჩინებით.

ბ. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით განცხადება დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ბ. ლ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედნის წარმოდგენა.

ხარვეზის გამოსწორების მიზნით ბ.ლ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 აპრილის განჩინება, რომლი-

თავ მას გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა და მოითხოვა კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორებულად მიჩნევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინებით მხარის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო მხარეს გაუგრძელდა ვადა ხარვეზის სულად გამოსწორებისათვის.

ხარვეზის გამოსწორების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინებაში არასწორად მიეთითა ფრაზა – «არის ინვალიდი და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება».

დადგენილ ვადაში ბ.ლ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ არ არის ინვალიდი, ამასთან მიუთითა მძიმე ქონებრივ მდგომარეობაზე და კვლავ იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და მხარის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ლ-შვილის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული, ხოლო ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინების აღწერილობით ნაწილში დაშვებული უსწორობა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. ამდენად, დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინების აღწერილობით ნაწილში არასწორად მიეთითა ფრაზა – «არის ინვალიდი და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება». დასახელებული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამავე სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინებაში არასწორად მიითებულ იქნა ზემოაღნიშნული ფრაზა უნდა იქნას ამოღებული.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განცხადებას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარემ აღნიშნული განცხადებით დადგენილი ხარვეზი ვერ გამოასწორა, რის გამოც მოცემული კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა კერძო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან კერძო საჩივრის შეუსაბამობის შემთხვევაში, სასამართლო საჩივრის ავტორს დაუდგენს ხარვეზს და დაუწესებს იმ საპროცესო მოქმედებას, რაც ხარვეზის გამოსწორებისათვისაა სავალდებულო. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში დადგენილი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა – ხარვეზის სრულად გამოუსწორებლობა – კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა კერძო საჩივრის ავტორის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე და მხარეს გაუგრძელდა ვადა კერძო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედნის წარმოდგენა.

ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში ბ.ლ-შვილმა განცხადებით მომართა სასამართლოს და კვლავ მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება თავისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ხოლო ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დამადასტურებელი მტკიცებულება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად) მხარეს სასამართლოსათვის არ წარმოდგენია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებას და მათი ოდენობის შემცირებას. დასახელებული მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუ-



ჯეტის სასარგებლოდ სასამართლოს ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. ამდენად, მხარე, რომელიც შუამდგომლობს სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების თაობაზე, ვალდებულია, უტყუარად, სათანადო მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენის გზით დაადასტუროს, რომ მას აღნიშნული ხარჯების გადახდა ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეუძლია და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობა გამოიწვევს მხარის უფლების სამართლებრივი დაცვის მიღმა დატოვებას.

დასახელებული ნორმა მოიცავს იმ ელემენტებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას. პირის უფლების შეზღუდვა (სასამართლო ხარჯების დაკისრება) ამ უფლებასა და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ინტერესებს შორის დასაშვებია სამართლიანი ბალანსის შემთხვევაში. ამგვარი ბალანსი საქართველოს კანონმდებლობით დაცულია, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დაშვებულია რა კონკრეტული შეზღუდვა სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების სასამართლო წესით დაცვისას (სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება), ასევე გათვალისწინებულია სასამართლო მექანიზმები ყველა კატეგორიის პირისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულს ადასტურებს სასამართლოს უფლება, ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯისაგან გაათავისუფლოს მოქალაქე (სსკ-ის 47-ე მუხლი), აგრეთვე მხარეს შეუმციროს ასეთი ხარჯი ან გადაუვადოს მისი გადახდა (სსკ-ის 48-ე მუხლი). სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის სრული და შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, ვინაიდან ხელმისაწვდომობის უფლება, თავისი მრავალფეროვანი ბუნებით, მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას. ამავედროულად, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, ამ უფლების არსი არ იქნება გაუარესებული და რომ გამოსაყენებელი ფარგლები არ შეზღუდავს და არ შეამცირებს ფიზიკური პირების ხელმისაწვდომობის უფლებას.

სასამართლო უფლებამოსილია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე გაათავისუფლოს პირი ან გადაუვადოს მას სახელმწიფო ბაჟის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უტყუარად დგინდება ფიზიკური პირის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.

მოცემულ შემთხვევაში ბ.ლ-შვილმა კვლავ მოითხოვა რა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება თავისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მაგრამ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოადგინა. რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 აპრილის განჩინებას, რომლითაც ბ.ლ-შვილს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, აღნიშნული განჩინება ვერ იქნება მიჩნეული კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებისათვის უტყუარ მტკიცებულებად, რადგანაც საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი თითოეული ინსტანციის სასამართლო დამოუკიდებლად წყვეტს მხარისათვის სასამართლოს ხარჯების გადახდის გადავადების საკითხს საქმეში წარდგენილი ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დამადასტურებელი მტკიცებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი კერძო საჩივრის ავტორს არ გამოუსწორებია და არც კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება წარმოუდგენია სასამართლოსათვის, რომელიც უალტერნატივოდ დაადასტურებდა მხარის ქონებრივ მდგომარეობას, აღნიშნული გარემოება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა.

ამოღებულ იქნეს განჩინების აღწერილობით ნაწილში შეცდომით მითითებული ფრაზა – «არის ინვალიდი და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გაათავისუფლება».

ბ. ლ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის განჩინებაზე დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### განჩინება

1ას-694-650-2010

6 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ნ. კვანტალიანი

**განხილვის საგანი:** საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინებაში შესწორების შეტანა

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით შპს «საქართველოს რკინიგზისა» და მ. კ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, შპს «საქართველოს რკინიგზას» დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის 70% – 210 ლარი.

ზემოაღნიშნულ განჩინებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა 2010 წლის 8 ნოემბერს.

შპს «საქართველოს რკინიგზამ» განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით შპს «საქართველოს რკინიგზას» დაუბრუნდა საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% – 210 ლარი. მოცემულ საქმეზე წარდგენილ საკასაციო საჩივარზე მათ გადაიხადეს სახელმწიფო ბაჟი – 1 125.37 ლარი (საგადასახადო დავალება 139), რაც თავისთავად ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ბაჟის სახით შპს «საქართველოს რკინიგზისათვის» დაბრუნებული თანხის ოდენობა არასწორია. აქედან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს სასამართლო განჩინებისა და სააღსრულებო ფურცლის მისთვის შესწორებული სახით წარდგენას.

შპს «საქართველოს რკინიგზის» დასახელებულ განცხადებას თან ერთვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 8 ნოემბრის სააღსრულებო ფურცლის დედანი.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო შპს «საქართველოს რკინიგზის» განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს განჩინებაში დაშვებული უსწორობანი ან ამკარა არითმეტიკული შეცდომები.

საქმეში არსებული სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის თანახმად, შპს «საქართველოს რკინიგზის» მიერ აღნიშნულ საქმეზე განსახილველ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 1 125.37 ლარს.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის სააღსრულებო ფურცლის დედანი (იგი გაიცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინებაზე), რომლითაც დგინდება, რომ შპს «საქართველოს რკინიგზას» დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% – 210 ლარი, ნაცვლად – 787.759 ლარისა. ამავე მითითებას შეიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი.

ზემოაღნიშნული გარემოება წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინებაში დაშვებულ უსწორობას, რომელიც გამოწვეულია მექანიკური ხასიათის ხარვეზით, რადროსაც არასწორად მიეთითა კასატორისათვის (შპს «საქართველოს რკინიგზისათვის») დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობად 210 ლარი, ნაცვლად – 787.759 ლარისა.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ ზემოთ დასახელებული უსწორობა სასამართლოს ინიციატივით ექვემდებარება გასწორებას, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში უნდა გასწორდეს დაშვებული უსწორობა და შპს «საქართველოს რკინიგზისათვის» დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობად მიეთითოს 787.759 ლარი, ნაცვლად – 210 ლარისა.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 267<sup>1</sup>, 284-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

## დაადგინა:

1. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაშვებული უსწორობა და შპს «საქართველოს რკინიგზისათვის» დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობად მიეთითოს 787.759 ლარი, ნაცვლად – 210 ლარისა;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განჩინებასა და სააღსრულო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება

### განჩინება

1ას-225-214-10

20 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სადავო უძრავი ქონების ნ. ლ-ძის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია და მენაბრეთა სასარგებლოდ მასზე გადახდევინების მიქცევა

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივლისის განჩინებით შპს «ო-ის», შპს «დ. და კ-ს», «ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ფონდის» თბილისში მცხოვრებ მენაბრეთა რეგისტრირებული კავშირის წარმომადგენელ ნ. წ-ლის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, შპს «ო-ის», შპს «დ. და კ-ს», «ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ფონდის» თბილისში მცხოვრებ მენაბრეთა რეგისტრირებულ კავშირს დაუბრუნდა წარმომადგენელ ნ. წ-ლის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი, სადაც კრედიტორად არასწორად მიეთითა ნ. წ-ლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით გასწორდა საკასაციო სასამართლოს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობა და სააღსრულებო ფურცელში, ნ. წ-ლის ნაცვლად კრედიტორად მიეთითა შპს «ო-ი», შპს «დ. და კ-ს», «ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ფონდის» თბილისში მცხოვრებ მენაბრეთა რეგისტრირებული კავშირი (საიდენტიფიკაციო კოდი: 204666368).

შპს «ო-ის», შპს «დ. და კ-ს», «ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ფონდის» თბილისში მცხოვრებ მენაბრეთა რეგისტრირებული კავშირის წარმომადგენელმა ნ. წ-ლმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, წარმოადგინა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის ასლი და განმარტა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინებაში და მის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, არასწორადაა მითითებული კრედიტორის საიდენტიფიკაციო კოდი «204666368», რაც უნდა გასწორდეს საიდენტიფიკაციო კოდით – «204966368».

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ო-ის», შპს «დ. და კ-ს», «ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ფონდის» თბილისში მცხოვრებ მენაბრეთა რეგისტრირებული კავშირის წარმომადგენელ ნ. წ-ლის განცხადება საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინებასა და მის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ

იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

განმცხადებელ ნ. წ-ლის მიერ წარმოდგენილი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ შპს «ო-ის», შპს «დ. და კ-ს», «ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ფონდის» თბილისში მცხოვრებ მენაბრეთა რეგისტრირებული კავშირის საიდენტიფიკაციო ნომერია «204966368», საქმეში წარმოდგენილი უსწორობის გასწორების შესახებ განჩინებაში კი კრედიტორის საიდენტიფიკაციო კოდად მითითებულია «204666368», ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში და ამ განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებულია უსწორობა, რის გამოც შპს «ო-ის», შპს «დ. და კ-ს», «ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ფონდის» თბილისში მცხოვრებ მენაბრეთა რეგისტრირებული კავშირის წარმომადგენელ ნ. წ-ლის განცხადება საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «ო-ის», შპს «დ. და კ-ს», «ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო ფონდის» თბილისში მცხოვრებ მენაბრეთა რეგისტრირებული კავშირის წარმომადგენელ ნ. წ-ლის განცხადება განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილსა და ამავე განჩინების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული კრედიტორის საიდენტიფიკაციო კოდი «204666368» გასწორდეს საიდენტიფიკაციო კოდით – «204966368-ით».

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **განჩინებაში დაშვებული შეცდომების გასწორება**

#### **განჩინება**

1ას-1265-1112-10

31 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
პ. ქათამაძე

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 იანვრის 1ას-1265-1112-10 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 იანვრის განჩინებით ბ. ს-ძე-ჯ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატის ზემოაღნიშნულ განჩინებაში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, განჩინების მესამე გვერდზე ბ. ს-ძე-ჯ-შვილის ნაცვლად მითითებულია მ. ჯ-ევი.

#### **სამოტივაციო ნაწილი::**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 იანვრის 'ას-1265-1112-10 განჩინების მესამე გვერდზე მ. ჯ-ევის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს ბ. ს-ძე-ჯ-შვილი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 იანვრის 'ას-1265-1112-10 განჩინების მესამე გვერდზე მ. ჯ-ევი შეიცვალოს ბ. ს-ძე-ჯ-შვილით;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **უსწორობის გასწორება**

#### **განჩინება**

1ა-1798-შ-41-2010

1 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ვ. როინიშვილი,**  
**ნ. კვანტალიანი**

**განხილვის საგანი:** უსწორობის გასწორება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ნოემბრის განჩინებით ც. ფ-ვას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა – საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნა და მიექცა აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ქორწინება ა. ფ-ვსა და ც. ფ-ვას შორის, რეგისტრირებული 31.07.1999 წ. ს/რ 1389, ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის მმჩის ადმინისტრაციის განყოფილების მიერ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ნოემბრის განჩინებაში უნდა გასწორდეს დაშვებული უსწორობა, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს განჩინებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ნოემბრის განჩინებაში ნაცვლად მხარეებისა: «ც. ფ-ვა», «ა. ფ-ვი», მითითებულია: «ც. ფ-ვა», «ა. ფ-ვი».

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლიდან გამომდინარე, ზემომითითებული გარემოება, როგორც განჩინებაში დაშვებული უსწორობა, ექვემდებარება გასწორებას. აქედან გამომდინარე, უნდა შესწორდეს საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა – ც. ფ-ვასა და ა. ფ-ვის ნაცვლად მხარეებად მიეთითონ ც. ფ-ვა და ა. ფ-ვი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

## დაადგინა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ნოემბრის განჩინებაში გასწორდეს დაშვებული უსწორობა – ც. ფ-ვასა და ა. ფ-ვის ნაცვლად მხარეებზე მიეთითონ ც. ფ-ვა და ალექსეი ფალაღევი.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 3. დამატებითი გადაწყვეტილება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ას-542-510-2010

11 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობაში, ჩუქების ხელშეკრულებასა და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანა, მესაკუთრედ ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

დ. შ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ს-იას, ი., ნ. და ს. შ-ძეების მიმართ სამკვიდრო მოწმობაში, ჩუქების ხელშეკრულებასა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის, ასევე, სადავო სამკვიდრო ქონების 1/6-ის გარდა ვ. შ-ძის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. შ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – შეტანილ იქნა ცვლილება 1981 წელს გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, სადაც ნ. შ-ძის სამკვიდრო განისაზღვრა მოსარჩელის მამის დანაშთი ქონების თანაბარ წილად – 1/6-ით, ასევე შეტანილ იქნა ცვლილება ბათუმის 12 ნოტარიუსის მიერ გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, ნ. შ-ძესა და ვ. შ-ძეს შორის დადებულ ჩუქების ხელშეკრულებაში, ნ. შ-ძესა და ლ. შ-ძეს შორის დადებულ ჩუქების ხელშეკრულებაში, ნოტარიუს მ. ბ-შვილის მიერ 2000 წლის 27 მაისს დამოწმებულ ჩუქების ხელშეკრულებაში, ნოტარიუს ლ. ც-ძის მიერ 2009 წლის 16 იანვარს გაცემულ სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის მონაცემებში, რომლითაც სადავო ქონების მესაკუთრეებად აღირიცხნ მოსარჩელის ძმის – ვ. შ-ძის პირველი რიგის მემკვიდრეები სადავო ქონების 1/6-ის გამოკლებით და აღნიშნული წილი აღირიცხა დ. შ-ძის, როგორც სამკვიდროს ფაქტობრივი მფლობელის, საკუთრებად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ს-იამ, ი., ნ. და ს. შ-ძეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 თებერვლის განჩინებით საქმეში მოპასუხედ დაშვებულ იქნა ლ. შ-ძე. ამავე სასამართლოს 2010 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ი., ნ., ს. შ-ძეებისა და ნ. ს-იას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და დ. შ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ვ. შ-ძის სამკვიდროდან ნ. შ-ძის მემკვიდრეობის უფლება ქ. ბათუმში, ... ქ'89-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/6-ზე, როგორც დ. შ-ძის წილზე და შეტანილ იქნა ცვლილება 1981 წლის 24 დეკემბერს ნ. შ-ძის სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, 1989 წლის 25 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებაში და გამჩუქებელ ნ. შ-ძის მიერ ლ. შ-ძისათვის ქ. ბათუმში, ... ქ'89-ში მდებარე მთლიანი ქონების 1/2-ის ნაცვლად, ნაჩუქარ ქონებად მიეთითა მთლიანი სახლთმფლობელობის 5/12, შეტანილ იქნა ცვლილება 1989 წლის 22 მაისის ჩუქების ხელშეკრულებაში ნ. შ-ძის მიერ ლ. შ-ძისათვის ნაჩუქარი ქონების – ქ. ბათუმში, ... ქ'89-ში მდებარე მთლიანი უძრავი ნივთის 1/2-ის ნაცვლად მიეთითა მთლიანი სახლთმფლობელობის 5/12, შეტანილ იქნა ცვლილება 2000 წლის 27 მაისის დამოწმებულ ჩუქების ხელშეკრულებაში და ლ. შ-ძის მიერ ვ. შ-ძისათვის ნაჩუქარ ქონებად, ქ. ბათუმში, ... ქ'89-ში მდებარე მთლიანი უძრავი ნივთის 1/2-ის ნაცვლად მიეთითა სახლთმფლობელობის 5/12, შეტანილ იქნა ცვლილება საჯარო რეესტრის ჩანაწერებში და ი., ნ., ს. შ-ძეებისა და ნ. ს-იას საკუთრებად აღირიცხა ქ. ბათუმში, ... ქ'89-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 5/6, 2009 წლის 16 იანვრის სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანის შესახებ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. შ-ძისათვის სადავო სამკვიდროდან 1/6-ის მიკუთვნების ნაწილში ნ. ს-იამ, ი., ნ. და ს. შ-ძეებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დ.შ-ძის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს დ. და ლ. შ-ძებმაც, მოითხოვეს მითითებულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება დ. შ-ძის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

ნ. ს-იას, ი., ნ. და ს. შ-ძეების წარმომადგენლებმა – ვ. ლ-იამ და ჯ. ქ-შვილმა განცხადებით მიმართეს საკასაციო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და მიუთითეს, რომ საკასაციო პალატას 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლოს ხარჯების განაწილების საკითხი არ გადაწყვეტია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი განცხადების საფუძველები და მიიჩნევს, რომ ნ. ს-იას, ი., ნ. და ს. შ-ძეების წარმომადგენლების – ვ. ლ-იასა და ჯ. ქ-შვილის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, მიღებულ იქნეს დამატებითი გადაწყვეტილება და დ. შ-ძეს ნ. ს-იას, ი., ნ. და ს. შ-ძეების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 4400 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების «გ» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

მითითებული ნორმით კანონმდებელი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ძირითადი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, რომლითაც მოწესრიგდება სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებული გადაუწყვეტი საკითხები. ამასთან, დამატებითი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადებიდან ან, თუ გადაწყვეტილება მიღებულია ზეპირი მოსმენის გარეშე დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 7 დღეში.

მოცემულ შემთხვევაში ნ. ს-იას, ი., ნ. და ს. შ-ძეების წარმომადგენლებმა – ვ. ლ-იამ და ჯ. ქ-შვილმა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით სასამართლოს დროულად, ზემოხსენებული 7-დღიანი ვადის დაცვით მიმართეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ს-იას, ი., ნ. და ს. შ-ძეების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, დ. შ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ლ. შ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და დ. შ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შეტანილ იქნა ცვლილება 1981 წლის 24 დეკემბერს ნ. შ-ძის სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში (რეესტრში რეგისტრაციით 113598), შეტანილ იქნა ცვლილება 1989 წლის 25 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციით 1291) და გამჩუქებლის – ნ. შ-ძის მიერ ვ. შ-ძისათვის ნაჩუქარი, ქ.ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი ქონების 1/2-ის ნაცვლად, მიეთითა მთლიანი სახლმფლობელობის 1/4, ნ. შ-ძე ცნობილ იქნა ვ. შ-ძის სამკვიდრო ქონების 1/2-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ, შეტანილ იქნა ცვლილება 1989 წლის 22 მაისის ჩუქების ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციით 11873) – ნ. შ-ძის მიერ ლ. შ-ძისათვის ნაჩუქარი ქონების – ქ.ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ნივთის 1/2-ის ნაცვლად მიეთითა მთლიანი სახლმფლობელობის 1/4, შეტანილ იქნა ცვლილება 2000 წლის 27 მაისის დამოწმებულ ჩუქების ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციით 12-371) და გამჩუქებლის – ლ. შ-ძის მიერ ვ. შ-ძისათვის ნაჩუქარი ქონება, ქ.ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ნივთის 1/2-ის ნაცვლად, მიეთითა სახლმფლობელობის 1/4, შეტანილ იქნა ცვლილება 2009 წლის 16 იანვრის სამკვიდრო მოწმობაში (სანოტარო აქტი, რეესტრში რეგისტრაციით 12-2) და ვ. შ-ძის პირველი რიგის მემკვიდრეები – ი., ნ., ს. შ-ძეები და ნ. ს-ია ცნობილ იქნენ ვ. შ-ძის სამკვიდრო ქონების – ქ.ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2 მემკვიდრეებად, შეტანილ იქნა ცვლილება საჯარო რეესტრის ჩანაწერებში და ი., ნ., ს. შ-ძეებისა და ნ. ს-იას საკუთრებად აღირიცხა ქ.ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2, ხოლო ქ.ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2 – დ. შ-ძის საკუთრებად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს განმცხადებლის არგუმენტს, რომ მითითებული გადაწყვეტილებით საკასაციო პალატას არ უმსჯელია მოწინააღმდეგე მხარისათვის საქმის წარმოებისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხზე, რაც დამატებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წინადადების მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული

თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილები-სას სასამართლო მოსარჩელეს დააკისრებს მოპასუხის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საქმის წარმოე-ბისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის იმ მოცულების ანაზღაურებას, რა მოცულობითაც სარჩელი არ დაკმა-ყოფილდა. აღნიშნული ხარჯები მოსარჩელეს დაეკისრება იმის მიუხედავად, გათავისუფლებულია თუ არა იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების ანაზღაურებისაგან.

განსახილველ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დ. შ-ძის სასარ-ჩელო მოთხოვნა სადავო სამკვიდროს 5/6-ის მიკუთვნების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მო-სარჩელეს მიეკუთვნა სამკვიდროს 1/2, ანუ სარჩელით მოთხოვნილი 5/6-დან დაკმაყოფილდა 3/6, ხოლო სამკვიდროს 2/6-ის მესაკუთრედ ცნობაზე მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ნ. ს-იამ, ი., ნ. და ს. შ-ძეებმა სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადეს სულ 11000 ლარი (5000 ლარი – სააპელაციო, ხოლო 6000 ლარი – საკასაციო საჩივრებზე).

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დ. შ-ძეს ნ. ს-იას, ი., ნ. და ს. შ-ძეების სასარგებლოდ უნ-და დაეკისროს 4400 ლარის გადახდა (11000 ლარის 2/6 შეადგენს 4400 ლარს).

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით და

#### **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :**

ნ. ს-იას, ი., ნ. და ს. შ-ძეების წარმომადგენლების – ვ. ლ-იასა და ჯ. ქ-შვილის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვე-ტილებაზე მიღებულ იქნეს დამატებითი გადაწყვეტილება.

დ. შ-ძეს ნ. ს-იას, ი., ნ. და ს. შ-ძეების სასარგებლოდ დაეკისროს 4400 ლარის გადახდა.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **4. გადაწყვეტილების განმარტება**

#### **განჩინება**

1ას-1169-1431-09

25 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს „გ-ს« დირექტორმა სარჩელით მიმართა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სს „ს-ის« მი-მართ და მოითხოვა სს „გ-ის« ტერიტორიაზე გამავალ სს „ს-ის« კუთვნილი 520 გრძივი მეტრი რკინიგზის მათ საკუთრებაში გადაცემა 4000 ლარად.

2007 წლის 13 ივნისს სს „ს-მ« სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სს „გ-სათვის« მათი კუთ-ვნილი რკინიგზის სარგებლობაში ხელშეშლის აკრძალვა.

2007 წლის 18 სექტემბრის განჩინებით სს „გ-ის« წარმომადგენლების შუამდგომლობა სასარჩელო განცხა-დებისა და თანდართული დოკუმენტების გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდა – სს „გ-ის« სარჩელი გა-ნუხილველად იქნა დატოვებული და საქმის წარმოება გაგრძელდა, სს „ს-ის« სარჩელის გამო, სს „გ-ის« მი-მართ უკანონო ხელშეშლის კუთვნილი რკინიგზის სარგებლობაში აღკვეთის შესახებ.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით სს „ს-ის« სარჩელი და სს „გ-ს« მიმართ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ს-ის« დირექტორმა და მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყ-ვეტილებით სს „ს-ის« სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა გარდაბნის რაიონული სასამარ-



თლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: სს „ს-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა – სს „გ-ს“ აკრძალა სს „ს-სათვის“ მისი კუთვნილი რკინიგზის ხაზით სარგებლობაში ხელშეშლა, რომელიც გადის სს „გ-ის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერით დადასტურებულად მიიჩნია, რომ გარდაბნის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე 5303 მეტრი რკინიგზის ხაზი წარმოადგენდა სს „ს-ის“ საკუთრებას. აღნიშნული რკინიგზის ხაზის სადავო მონაკვეთი გადიოდა სს „გ-ის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „გ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით სს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განხილველად.

2009 წლის 1 ივნისს სს „გ-ის“ გენერალურმა დირექტორმა – ზ. თ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტება, კერძოდ, განმარტება იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება რკინიგზის ხაზით სარგებლობაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ივლისის განჩინებით სს „გ-ის“ გენერალური დირექტორის ზ. თ-შვილის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. განმცხადებელმა ვერ დაადასტურა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება და ვერ დაასაბუთა, თუ რა უშლის ხელს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების იმ შინაარსით და იმ ფარგლებში აღსრულებას, როგორც ეს ამავე გადაწყვეტილებითაა დადგენილი.

სს „გ-მა“ კერძო საჩივარი შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 ივლისის განჩინებაზე. მან აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მოითხოვს განმარტებას. სასამართლომ უნდა განმარტოს, რა იგულისხმება რკინიგზის ხაზით სარგებლობის ხელშეშლაში, კერძოდ, გაატაროს რკინიგზის შემადგენლობა და ტვირთები, თუ სარგებლობაში იგულისხმება რკინიგზის ხაზის აღება სს „გ-ის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან და სწორედ ინფრასტრუქტურის მოშლაში არ უნდა შეუშალოს ხელი სს „გ-მა“ სს „ს-ს“, რითაც ზიანი მიადგება სს „გ-ს“, რადგან მას ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისათვის ესაჭიროება რკინიგზის ხაზის სარგებლობა.

სს „გ-ს“ გენერალურმა დირექტორმა ზ. თ-შვილმა ასევე განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლება. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებას. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის განჩინებით განახლდა საქმის წარმოება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, გაუქმდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყდა მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებისათვის, რადგან გაუქმდა გადაწყვეტილება, რომელიც საფუძვლად დაედო 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით სს „გ-ის“ გენერალური დირექტორის – ზ. თ-შვილის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება მიღებული იქნებოდა, მიუხედავად იმისა, იარსებებდა თუ არა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, ვინაიდან ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას პალატის გადაწყვეტილება არ დაფუძნებია გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც ერთადერთ მტკიცებულებას. პალატამ ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა ამონაწერით საჯარო რეესტრიდან ხაზოვან ნაგებობაზე, მიწის ნაკვეთისა და ხაზოვანი ნაგებობის აზომვითი ნახაზით, ასევე, მხარეთა ახსნა-განმარტებებით.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს „გ-ის“ გენერალურმა დირექტორმა ზ. თ-შვილმა. მან აღნიშნა, გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო პალატის აღნიშნული მსჯელობა არასწორია და დაუსაბუთებელი, ვინაიდან საჯარო რეესტრის დასახელებული მტკიცებულებები შედგენილია გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო მხარეთა ახსნა-განმარტებით არ შეიძლება დადგინდეს საკუთრების უფლება ხაზოვან ნაგებობაზე, მით უფრო, როდესაც ეს ნაგებობა, როგორც სასამართლომ დაადგინა, გადის სს „გ-ის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე და, შესაბამისად, იგი წარმოადგენს უძრავი ნივთის შემადგენელ ნაწილს, რომელიც სს „გ-ის“ საკუთრებაა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლი) ან, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდგრები.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა.

დადგენილია, რომ სს „გ-ი“ მოითხოვს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება მიღებული იქნებოდა, მიუხედავად იმისა, იარსებებდა თუ არა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენისას, რომ სს „გ-ის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გადის სს „ს-ის“ კუთვნილი 520 მეტრი რკინიგზის ხაზი, არ დაფუძნებია მხოლოდ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია და დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს: საჯარო რეესტრიდან ხაზობრივ ნაგებობაზე ამონაწერს, საჯარო რეესტრის ამონაწერს, მიწის ნაკვეთის და ხაზოვანი ნაგებობის აზომვით ნახაზებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის წარმოების განახლება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუქმდა გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველია და ამ გადაწყვეტილების გარეშე გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მიღებული. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება არ დაფუძნებია გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რის გამოც აღნიშნული გადაწყვეტილებაზე მითითება ვერ ჩაითვლება ახლად აღმოჩენილ გარემოებად.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების განმარტება ხდება იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის გასაგებად ჩამოყალიბებული და ბუნდოვანია, რის გამოც შეუძლებელია გადაწყვეტილების აღსრულება.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს «გაჩიანს» აეკრძალა ხელშეშლა სს «ს-სათვის» თავისი კუთვნილი რკინიგზის ხაზით სარგებლობაში, რომელიც გადის სს «გ-ის» საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მოითხოვს განმარტებას, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 ივლისის განჩინება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე უნდა გაუქმდეს. სასამართლომ უნდა განმარტოს, რა იგულისხმება რკინიგზის ხაზით სარგებლობის ხელშეშლაში (გაატაროს რკინიგზის შემადგენლობა და ტვირთები, თუ სარგებლობაში იგულისხმება რკინიგზის ხაზის აღება სს «გ-ის» კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან და ა.შ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განჩინება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს. გარდა ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომბრის განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც სს «გ-ის» დირექტორ ზ. თ-შვილის კერძო საჩივარი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. სს «გ-ის» კერძო საჩივარი გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;
3. სს «გ-ის» კერძო საჩივარი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
4. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ოქტომბრის განჩინება; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტება

### განჩინება

1ა-1464-გან-3-2010 25 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი

**განიხილა** პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე მ. მ-შვილის განცხადების განუხილველად დატოვების საკითხი. საკასაციო სასამართლომ

### გამოაკვია:

2010 წლის 24 ივნისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მ. მ-შვილმა.

განცხადების თანახმად, საქალაქო სასამართლოს 2007 წლის გადაწყვეტილებით მოპასუხე მხარე ცნობილ იქნა ორი ოთახისა და სარდაფის მოსარგებლედ. ეს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა ზემდგომი ინსტანციების – სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მიერ. მოსარგებლეს აგრეთვე მიტაცებული ჰქონდა 7კვ.მ საერთო აივნის ხარჯზე, რაც მხარეს არც ერთი ინსტანციის სასამართლოში სადავო არ გაუხდია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებას, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ მას, როგორც მესაკუთრეს, შესაძლოა თუ არა დაევალოს კიდევ ერთ დამატებით მიტაცებულ ფართზე თანხის გადახდა.

საკასაციო სასამართლო მ. მ-შვილის განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

კანონის დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების განმარტების საპროცესო ვალდებულება აკისრია სწორედ იმ სასამართლოს, რომელმაც განსამარტი გადაწყვეტილება გამოიტანა.

წარმოდგენილი განცხადებით მ. მ-შვილი ითხოვს საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების განმარტებას. შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტების შესახებ მ. მ-შვილის განცხადების განსახილველად მიღების სამართლებრივი საფუძველი.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და

## დაადგინა:

1. მ. მ-შვილის განცხადება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დარჩეს განუხილველად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გადაწყვეტილების განმარტების დაუშვებლობა

### განჩინება

1ას-657-616-2010

3 აგვისტო, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების განმარტება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დ. ბ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – დ. ბ-ძე ცნობილ იქნა თერჯოლის რაიონის სოფელ ... მდებარე ზ. ბ-ძის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის ნახევრის მესაკუთრედ და ქონება რეალურად გაიყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 27 ივნისის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის პირველი ვარიანტის მიხედვით, კერძოდ, პირველმა ნაწილმა მოიცვა საცხოვრებელი ოთახი 11, ფართით 27.87 მ<sup>2</sup>, დამხმარე სათავსები – 19, 110, 15, 16 და საზაფხულო ფართი «ა» საერთო ფართით 92,42. ხოლო მეორე ნაწილმა: საცხოვრებელი ოთახი 13, ფართით 26,8 მ<sup>2</sup>, დამხმარე სათავსოები – 12, 14, 17 და 18, ფართით 79,89 მ<sup>2</sup>; მხარეებს საკუთრებაში დარჩათ საცხოვრებელი სახლის ის ნაწილები (ექსპერტის დასკვნის მიხედვით), რომელსაც ისინი ფაქტობრივად ფლობენ. დედის დანაშთი ქონებიდან სავალდებულო წილის გამოყოფის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ო. ბ-ძემ და მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქონების გაყოფა უნდა მოხდეს ექსპერტის დასკვნის პირველი ვარიანტის მიხედვით, ამასთან, გადაწყვეტილებაში არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელი ოთახი რომელ მხარეს უნდა მიეკუთვნოს, ამიტომ განმცხადებლის მოსაზრებით, გადაწყვეტილება საჭიროებს განმარტებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 მაისის განჩინებით ო. ბ-ძის განცხადება ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაუშვებლად იქნა მიჩნეული და დარჩა განუხილველად იმ საფუძველით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უკვე აღსრულებული იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ო. ბ-ძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების აღსრულება უნდა განხორციელდებოდა ანდერძის და არა ექსპერტის დასკვნის მიხედვით, ამიტომ მოითხოვა, რომ სასამართლომ იხელმძღვანელოს საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლით და აღადგინოს სიმართლე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ო. ბ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

მითითებული მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ დაუშვებელია იმ გადაწყვეტილების განმარტება, რომელიც აღსრულებულია ან თუ გავიდა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე შეტანილი განცხადება არ დაიშვება და იგი განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის განმარტებასაც ითხოვს ო. ბ-ძე, აღსრულებულია. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე შეტანილი განცხადება დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ო. ბ-მის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე სწორად ცნო დაუშვებლად და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ო. ბ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 მაისის განჩინება.  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გადაწყვეტილების განმარტება**

**განჩინება**

1ას-738-691-2010

20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2003 წლის 12 სექტემბერს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ო. ხ-შვილმა მოპასუხე ო. კ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ო. კ-მის მიერ თვითნებურად მითვისებული საერთო სარგებლობის ეზოს კაპიტალური კედლების, ყოველგვარი მიშენებების დანგრევა, აგრეთვე, ეზოსა და ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა და მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან კუთვნილი სარდაფის გამოთხოვა.

სარჩელის თანახმად, დაბა წყნეთში, ... ქ. 124-ში მდებარე 136 ორსართულიანი კოტეჯის მეორე სართულის 87,07 კვ.მ-ის მესაკუთრეს წარმოადგენს ო. ხ-შვილი, ხოლო ამავე კოტეჯის პირველ სართულს ფლობს ო. კ-მე. კოტეჯი განთავსებულია 835 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რაც მხარეთა თანასაკუთრებაშია. მხარეებს მასზე საკუთრების უფლება არ გააჩნიათ და წარმოადგენენ ამ მიწის ნაკვეთის თანამოსარგებლებს. 2000 წელს ო. კ-მის მიერ სახლთმფლობელობაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამ მოსარჩელის უფლებები მნიშვნელოვნად დაარღვია, რაც ამ დრომდე გრძელდება. კოტეჯში არსებული საერთო სარგებლობის სარდაფი მოპასუხემ თვითნებურად მიიერთა და დაისაკუთრა, საერთო სარგებლობის ეზო კი დაახლოებით 2.50 სმ სიმაღლის ქვის ღობით გაყო. ამასთან, გადაადგილა საყრდენი კედლები, ამოაშენა ბეტონის კაპიტალური კედელი, რომლის სიმაღლე ადის მოსარჩელის აივნამდე, აივანი გადააკეთა ოთახად, უპროექტოდ მიაშენა ეზოში ჩასასვლელი კიბეები, პირველ სართულს მიაშენა ღია აივანი. სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა არამარტო მოპასუხის ბინა, არამედ მხარეთა საერთო სარგებლობაში არსებული სარდაფიც მოიცვა. სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციისა და სათანადო ნებართვის გარეშე ჩატარდა. აღნიშნულ სამუშაოთა წარმოებისას, ჯერ კიდევ 2000 წელს, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს განცხადებებით მიმართავდა ო. ხ-შვილის მეუღლე – ს. ხ-შვილი, რომლის სახელზეც ირიცხებოდა იმ დროისათვის სახლთმფლობელობის შესაბამისი წილი, თუმცა ამ მიმართევებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. მოპასუხის მიერ განხორციელებულმა არამართლზომიერმა ქმედებებმა გამოიწვია ეზოში ო. ხ-შვილის წილის შემცირება.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ო. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ო. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ო. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – ო. კ-მეს დაევალა დაბა წყნეთში, ... ქ. 124-ში მდებარე 136 კოტეჯის სარდაფისა და ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ო. კ-ძის საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება და შევიდა კანონიერ ძალაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით, გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ო. ხ-შვილის განცხადების განხილვის შედეგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი განიმარტა იმგვარად, რომ დადგინდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შემდეგნაირად:

- ა) ეზოს გამყოფი ქვის ღობის მონგრევა;
- ბ) ტერასის დანგრევა 100 კვ.მ მოზაიკის იატაკითა და კიბით;
- გ) ო. კ-ძის მიერ მოწყობილ ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება და საერთო შესასვლელი ჭიმკრის დატოვება;
- დ) ეზოს კეთილმოწყობის მოშლა;
- ე) სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით.

2009 წლის 4 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა გ. დ-შვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა ამავე სასამართლოს 2008 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებაზე 2009 წლის 10 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცლის «გ», «დ» და «ე» პუნქტების განმარტება, კერძოდ, იმის გარკვევა, თუ რა ფორმით უნდა მომხდარიყო ო. კ-ძის მიერ მოწყობილ ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება, რა სახის მოქმედება უნდა შესრულებულიყო ეზოს კეთილმოწყობის მოსაშლელად, აგრეთვე, რა დონემდე და რითი უნდა მომხდარიყო სარდაფის ამოვსება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის განჩინებით თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის გ. დ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ იყო ბუნდოვანი და, შესაბამისად, არ არსებობდა მისი განმარტების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ო. კ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის განჩინებით ო. კ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განჩინებით თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ გ. დ-შვილის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების განმარტების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების «დ» და «ე» ქვეპუნქტები განიმარტა იმგვარად, რომ ეზოს კეთილმოწყობის მოშლა და სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება გამოიხატება შემდეგ მოქმედებებში:

კეთილმოწყობის მოსაშლელად ეზოში აღებულ უნდა იქნეს მონოლითური მოზაიკითა და ბაზალტის კიბით მოპირკეთებული ტერასა დაახლოებით 100 კვ.მ-ზე;

სარდაფის ადრე არსებულ დონემდე მოყვანა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ შენარჩუნებულ იქნეს მისი ფუნქციური დატვირთვა (შესაძლებელი იყოს მისი სარდაფის სახით გამოყენება).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებაზე, რომლითაც ამავე სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი განიმარტა იმგვარად, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა გამოიხატება შემდეგ მოქმედებებში:

- ა) ეზოს გამყოფი ქვის ღობის მონგრევა;
- ბ) ტერასის დანგრევა 100 კვ.მ მოზაიკის იატაკითა და კიბით;
- გ) ო. კ-ძის მიერ მოწყობილი ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება და საერთო შესასვლელი ჭიმკრის დატოვება;
- დ) ეზოს კეთილმოწყობის მოშლა;
- ე) სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის «დ» და «ე» ქვეპუნქტები უნდა განმარტებულიყო იმგვარად, რომ ეზოს კეთილმოწყობის მოშლა და სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება უნდა გამოხატულიყო შემდეგ მოქმედებებში:

საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ეზოს კეთილმოწყობა გამოიხატება შემდეგში: რელიეფიდან გამომდინარე, ეზოში მოწყობილია ტერასა, რომელიც მოპირკეთებულია მონოლითური მოზაიკით და ბაზალტის კიბით დაახლოებით 100კვ.მ-ზე. შესაბამისად, კეთილმოწყობის მოსაშლელად ეზოში აღებული უნდა ყოფილიყო მონოლითური მოზაიკითა და ბაზალტის კიბით მოპირკეთებული ტერასა დაახლოებით 100კვ.მ-ზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალების მიხედვით არ დგინდებოდა, თუ რას შეადგენდა პირვანდელი მდგომარეობით სარდაფის დონის სიღრმე. ამას ადასტურებდა მხარე – ო. ხ-შვილი სააპელაციო სასამართლოში მის მიერ 2010 წლის 14 მაისს სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში, რომელშიც ეს უკანასკნელი აღნიშნავდა, რომ, შენობა-ნაგებობის დოკუმენტაციაში არ არის გათვალისწინებული თუ რა სიღრმეზე არსებობდა სარდაფი. ძნელია იმის განმარტება, თუ რა დონემდე უნდა ამოივსოს იგი. შესაბამისად, ამ პუნქტის აღსრულებაში მოყვანა უნდა განხორციელდეს სასამართლო აღმასრულებლის შეხედულებისამებრ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სარდაფის ადრე არსებულ დონემდე მოყვანა უნდა განხორციელდებოდეს იმგვარად, რომ შენარჩუნებული იქნეს მისი ფუნქციური დატვირთვა (შესაძლებელი იყოს მისი სარდაფის სახით გამოყენება).

რაც შეეხებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების «გ» ქვეპუნქტის განმარტებას, კერძოდ, თუ როგორ უნდა მოხდეს ო. კ-ძის მიერ მოწყობილ ეზოში დამოუკიდებელი შესასვლელის გაუქმება და საერთო შესასვლელი ჭიმკარის დატოვება, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული პუნქტის შინაარსი არ იყო ბუნდოვანი, იგი მკაფიო იყო და არ საჭიროებდა განმარტებას. ამასთან, სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, მითითებინა ამ შედეგამდე მიღწევის ტექნიკურ საშუალებებსა და ხერხებზე.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის განჩინება განცხადების დაკმაყოფილების ნაწილში კერძო საჩივრით გასაჩივრა ო. კ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

მოცემულ შემთხვევაში 2010 წლის 11 ივნისის განჩინებით მოხდა არა გადაწყვეტილების, არამედ განჩინების განმარტება. აღნიშნული გარემოება თავისთავად არ წარმოადგენს პრობლემას, თუკი არ გავითვალისწინებთ, თუ რომელი განჩინების გასაჩივრებაზეა საუბარი. საუბარია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინების გასაჩივრებაზე, რომლითაც განიმარტა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება. ამრიგად, ესაა განჩინების განმარტების შესახებ მიღებულ განჩინებაზე განმარტების შესახებ განჩინების კვლავ მიღებას, რაც, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, არასწორია.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების განმარტების მიზანია აღმოიფხვრას ის ბუნდოვანება ან ორაზროვნება, რომლითაც შესაძლოა ხასიათდებოდეს აღსრულებას დაქვემდებარებული სასამართლოს რომელიმე დადგენილება, ანუ განმარტების საფუძველი არსებობს მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება ან განჩინება (რომელიც უნდა აღსრულდეს) ხასიათდება რაიმე ბუნდოვანებით, რათა ამ ბუნდოვანებამ ხელი არ შეუშალოს ამავე აქტის აღსრულების პროცესს. რამდენადაც სასამართლომ განმარტა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება (რომელიც ექვემდებარებოდა აღსრულებას), შესაბამისად, მან ერთგვარი სიცხადე შეიტანა ამ გადაწყვეტილების შინაარსის გაგების საკითხში. შეუძლებელია იმის თქმა, რომ 2008 წლის 28 ივლისის განჩინება განმარტების შესახებ განმარტავს გადაწყვეტილებას და მასაც ესაჭიროება განმარტება.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ, თუკი არსებობდა განმარტების მატერიალური საფუძველი, ანუ, თუკი აღსასრულებელი გადაწყვეტილება ხასიათდებოდა ბუნდოვანებით (რაც არ არის სწორი), შესაძლებელი იყო საკუთრივ გადაწყვეტილების და არა ამ გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განჩინების განმარტება, რაც მოხდა მოცემულ შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, განმარტებას (საჭიროების შემთხვევაში) უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის არა 2008 წლის 28 ივლისის განჩინება (რომლის განმარტების თაობაზეც გამოიცა გასაჩივრებული განჩინება), არამედ, ამავე სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ყველაზე მეტი ბუნდოვანებით ხასიათდება და რაიმე საკითხში სიცხადის შეტანის ნაცვლად ამ განჩინებამ გაცილებით მეტი შეკითხვა გააჩინა, ვიდრე მანამდე არსებობდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ო. კ-ძის კერძო საჩივრის საფუძველების განმოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს გადაწყვეტილების განმარტების პირობებს, კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების აუცილებლობის საჭიროება

დგება და, შესაბამისად, განმარტების შესახებ სასამართლოს საპროცესო ვალდებულება წარმოიშობა სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსობრივი ბუნდოვანების, უზუსტობის, ურთიერთსაწინააღმდეგობის, ურთიერთგამომრიცხავობის, მისი ნამდვილი აზრის გაურკვევლობის დროს. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია გადაწყვეტილების განმარტება იმის აუცილებელი გათვალისწინებით, რომ განმარტების შედეგად არ მოხდეს გადაწყვეტილების აზრისა და შინაარსის შეცვლა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას მოცემულ შემთხვევაში განმარტების მართებულობის შესახებ. თუ რას გულისხმობს ეზოს კეთილმოწყობის მოშლა, რაში გამოიხატება და რა სახით უნდა მოიშალოს იგი, რას ნიშნავს სარდაფის ადრე არსებულ დონემდე ამოვსება, მართლაც შეიცავს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გარკვეულ ბუნდოვანებას და განმარტება მოცემულ შემთხვევაში გამართლებულია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში განმარტება განხორციელდა არასწორად, რამდენადაც გასაჩივრებული განჩინებით მოხდა არა სასამართლო გადაწყვეტილების, არამედ ამ გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განჩინების განმარტება. როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების საჭიროებას უკავშირებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსობრივ ბუნდოვანებას. მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს როგორც 2008 წლის 28 ივლისის განჩინება, ისე 2010 წლის 11 ივნისის განჩინება ემსახურება კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტებას, მისი სარეზოლუციო ნაწილის შინაარსობრივი ბუნდოვანების გამო. 2008 წლის 28 ივლისის განჩინების განმარტებით მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა სწორედ 2007 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ გამორიცხავს გადაწყვეტილების კვლავ განმარტების შესაძლებლობას ისეთ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების ერთხელ განმარტების შემდგომ, მისი აღსრულების მიზნებიდან გამომდინარე, კვლავ დგება განმარტების საჭიროება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ო. კ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გადაწყვეტილების განმარტება**

#### **განჩინება**

1ას-717-672-2010 5 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების განმარტება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით შპს «ნ-ს» «სარჩელი მოპასუხე შპს «გ-ს» მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «გ-ს» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2006 წლის პირველი მაისიდან სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ანუ 2009 წლის 29 მაისამდე პერიოდისათვის ყოველთვიური ფულადი კომპენსაცია – 1000 ლარი, რაც შეადგენს 37000 ლარს, სამომავლოდ, შპს «გ-ს» დაევალა შპს «ნ-ს» სასარგებლოდ ყოველი წლის დასაწყისში 12000 ლარის ოდენობით წლიური კომპენსაციის წინასწარ გადახდა; შპს «ნ-ს» სასარჩელო მოთხოვნა შპს «ს.-სათვის» ფულადი კომპენსაციის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.



აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «გ-მ», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით შპს «გ-ის» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს «ნ-ს» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «გ-ს» შპს «ნ-ს» სასარგებლოდ გასული პერიოდის 2006 წლის 28 დეკემბრიდან 2009 წლის 29 მაისამდე პერიოდში დაეკისრა 29000 ლარის ანაზღაურება, 2009 წლის 29 მაისიდან შემდგომი პერიოდისათვის, 110 ნავმისადგომის ფართით სარგებლობის შემთხვევაში, შპს «გ-ს» შპს «ნ-ს» სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა.

2010 წლის 11 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართეს შპს «ნ-ს» წარმომადგენლებმა და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების განმარტება იმგვარად, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, შპს «გ-ს» შპს «ნ-ს» სასარგებლოდ ეკისრება თუ არა ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა 2009 წლის 29 მაისიდან 2010 წლის 20 აპრილის ჩათვლით პერიოდში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის განჩინებით შპს «ნ-ს» წარმომადგენლების განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ იყო ბუნდოვანი, ხოლო გადაწყვეტილების იმგვარად განმარტება, როგორც ამას განმცხადებლები ითხოვდნენ, გამოიწვევდა გადაწყვეტილების შეცვლას, შესაბამისად, განცხადება მიიჩნია უსაფუძვლოდ.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს «ნ-ს» წარმომადგენელმა გ. კ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და გადაწყვეტილების იმგვარად განმარტება, რომ რამდენადაც შპს «გ-ს» მიერ აღგილი ჰქონდა და დღემდე გრძელდება 110 ნავმისადგომის ფართით სარგებლობა, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით იგულისხმება თუ არა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, შპს «გ-ს» შპს «ნ-ს» სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ასევე ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა 2009 წლის 29 მაისიდან 2010 წლის 20 აპრილის ჩათვლით პერიოდში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ შპს «ნ-ს» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანს სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

მითითებული ნორმის თანახმად, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძვლად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი მისი აღსრულების უზრუნველყოფას. ამდენად, იმისათვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინამძღვრები, განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილების განმარტების საჭიროება წარმოიშობა მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანების გამო, ამ გადაწყვეტილების აღსრულება გამწვანებული ან შეუძლებელია. ეს კი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების განმარტება დასაშვებია ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესვლამდე გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება (გარდა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილებებისა), დაუშვებელია და აღსრულების ხელშეწყობის საჭიროებაც არ წარმოიშობა, რაც გადაწყვეტილების განმარტების მიზანს წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის განმარტებასაც მოითხოვეს კერძო საჩივრის ავტორი, გასაჩივრებელია საკასაციო წესით ორივე მხარის მიერ, შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში და არც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული. აქედან გამომდინარე, ხსენებული გადაწყვეტილების განმარტების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები მოცემულ ეტაპზე არ არსებობს.

ამასთან, მართალია, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს გადაწყვეტილების განმარტებაზე უარი ეთქვა არა ზემოაღნიშნული საფუძვლით, არამედ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანი არაა,

მაგრამ, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება, რადგან ეს განჩინება არსებითად სწორია (სსკ-ის 393.3 მუხლი).

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს «ნ-ს» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **გადაწყვეტილების განმარტება**

#### **განჩინება**

1ას-759-1085-07

16 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ბათილად ცნობა, წილის გამოყოფა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. უ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. დ-ძის, ნოტარიუს ნ. ა-ძისა და თ. ჯ-ილის მიმართ ერთი პირის საწარმო «შ-სა» და გ.დ-ძეს შორის 1996 წლის 12 სექტემბერს დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, შენობა-ნაგებობის აღებისა და საერთო სარგებლობის მიწის თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 1996 წლიდან მოსარჩელე ცხოვრობდა ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე ხ. კ-იას კუთვნილ სახლში, 1999 წელს კი, აღნიშნული სახლთმფლობელობა სადავო მიწის ფართთან ერთად ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა საკუთრების უფლებით. ბინის შეძენის დროისათვის სახლის შესასვლელ ეზოში იდგა ერთსართულიანი სავაჭრო ნაგებობა, რომელიც, სახლის ყოფილი მესაკუთრე ხ. კ-იას განცხადებით, აიგო კოოპერატივ «შ-ს» მიერ ხ.კ-იას მამის გ. კ-იას მიერ „შ-სთვის“ იჯარით მიცემულ მიწის ფართში. აღნიშნული შენობით სარგებლობდა გ. დ-ძე, რომელსაც მოსარჩელე კოოპერატივ «შ-ს» წარმომადგენლად თვლიდა. ა.უ-ძემ უშედეგოდ სცადა ამ უკანასკნელთან მოლაპარაკება. 2004 წელს მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ კოოპერატივმა „შ-მ“ 1996 წლის 12 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მის საკუთრებაში არსებული მიწის ფართში არსებული შენობა გ. დ-ძეს გადასცა. ამ ხელშეკრულების მხარეები არიან, ერთი მხრივ, ერთი პირის საწარმო „შ-90-ის“ მინდობილი პირი ზ. მ-ძე და, მეორე მხრივ, გ. დ-ძე. აღსანიშნავია, რომ ზ.მ-ძეს არ ჰქონდა უფლება, მონაწილეობა მიეღო გარიგების დადებაში და გამოსულიყო იურიდიული პირის წარმომადგენლად მისი ხელახლა რეგისტრაციაში გაუტარებლობის გამო. სადავო ხელშეკრულება დაიდო მესაკუთრე გ.კ-იას გარეშე. ამასთან, გ. კ-იასა და „შ-90-ს“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში საკარმიდამო მიწის ნაკვეთში არსებული შენობის სხვა პირისათვის მიყიდვის უფლების თაობაზე მითითებული არ არის.

გ. დ-ძემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ა. უ-ძის მიმართ სადავო მიწის ნაკვეთიდან 1/12-ის გამოყოფის მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: 1996 წლის 12 სექტემბერს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გ.დ-ძემ შეიძინა ... ქ.116-ში 910 კვ.მ საერთო საკუთრების ეზოში მდებარე სახლთმფლობელობის 1/2 – ერთსართულიანი ნაგებობა. მისთვის ცნობილი არ იყო „შ-90-სა“ და კ-იას შორის არსებულ იჯარის ხელშეკრულების თაობაზე, რადგან საჯარო რეესტრის ჩანაწერებიდან გამომდინარე, სადავო ფართის მესაკუთრე იყო „შ-90“. ამდენად, გ. დ-ძე კეთილსინდისიერი შემდეგია. ამასთან, ხ. კ-იასათვის გ.დ-ძესა და „შ-90-ს“ შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე ცნობილი იყო ნოტარიუსისაგან, მაგრამ ხ. კ-იას უპირატესი შესყიდვის უფლება არ გამოუყენებია.

დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირმა ხ. კ-იამ ასევე მიმართა სასამართლოს სარჩელით თ.ჯ-ილის, გ.დ-ძისა და ნოტარიუს ნ.ა-ძის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი მოტივებით: ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში ხ.კ-იასა და მამამის გ. კ-იას საკუთრების უფლებით გააჩნდათ საც-

ხოვრებელი ფართი, რომელიც ირიცხებოდა ჯერ მამის, ხოლო 1992 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, მის სახელზე. 1999 წელს ხ.კ-იამ საცხოვრებელი ფართი მიჰყიდა ა. უ-ძეს.

1991 წელს გ. კ-იამ ხელშეკრულება დადო კოოპერატივ „შ-90-თან“, რომლითაც კოოპერატივს კომერციული საქმიანობისათვის 10 წლის ვადით იჯარით გადაეცა მას სარგებლობაში არსებული 24 კვ.მ მიწის ნაკვეთი. სადავო საცხოვრებელ ფართს, ისევე, როგორც სახლთმფლობელობის სხვა მობინადრეებს, გააჩნია ურთიერთგამიჯნული, თავ-თავიანთ ბინებში ცალკე შესასვლელი მიწის ფართი. გ. კ-იამ იჯარით გასცა სწორედ თავისი საეზოვე ფართი, სადაც კოოპერატივმა ააშენა შენობა და გარკვეული დროის განმავლობაში იხდიდა საიჯარო ქირას, თუმცა შემდეგ ქირის გადახდა შეწყვიტა. მოგვიანებით ხ. კ-იამ შეიტყო, რომ 1996 წლის 12 სექტემბერს თ. ჯ-ილმა კოოპერატივის სახელით სავაჭრო შენობა მიჰყიდა გ. დ-ძეს, რაც უკანონოა, რადგან, გ. კ-იასთან დადებული შეთანხმების თანახმად, თ. ჯ-ილს საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ თავისი ნაგებობა უნდა აეღო ან მიეყიდა კ-იებისათვის. ამასთან, ხ. კ-იამ ა. უ-ძეს საცხოვრებელი ფართი იმ პირობით მიჰყიდა, რომ ეს უკანასკნელი შესყიდვის შედეგად მიიღებდა მიწის ნაკვეთს იმ მოცულობით, როგორც ეს იყო მამამისის მიერ თ.ჯ-ილის ფირმასთან ხელშეკრულების დადებამდე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ა. უ-ძეს, როგორც არასათანადო მოსარჩელეს, უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხ. კ-იას დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო გ. დ-ძის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, გ.დ-ძეს გამოეყო ქ.ბა-თუმში, ... ქ'16-ში საერთო სარგებლობის ეზოდან რეალურად 1/12 – 50 კვ.მ შესასვლელიდან მის საკუთრებაში არსებული ნაგებობის (ლიტერ «კ» სქემის მიხედვით) მარცხენა მხრიდან ღობემდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. უ-ძემ და ხ. კ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განჩინებით ა.უ-ძისა და ხ.კ-იას სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. უ-ძემ და ხ. კ-იამ გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება და გ. დ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 89-ე, 90-ე და 91-ე მუხლების უბეში დარღვევით. მისი გაუქმების ერთ-ერთი აბსოლუტური საფუძველია ის გარემოება, რომ სასამართლომ გ. დ-ძეს გამოეყო სულ სხვა პირის – თ. უ-ძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და, მიუხედავად ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობისა, თ. უ-ძე საქმეში მხარედ არ ჩააბა. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის განხილვისას ერთ-ერთი სხდომა გადაიღო სადავო ქონების კიდევ ერთი მესაკუთრის – თ. უ-ძის მესამე პირად საქმეში ჩაბმის მოტივით, თუმცა შემდეგ პროცესზე თ.უ-ძე არც მესამე პირად ჩაუბამს და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით საქმის განხილვაზე არ მიუწვევია.

სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ვინაიდან არ მიუთითა იმ მტკიცებულებებზე, რომელსაც სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები დააფუძნა და კანონი, რომლითაც პალატამ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას იხელმძღვანელა. სასამართლოს სათანადოდ არ გამოუკვლევია ა.უ-ძის მოთხოვნა მიუღებელი საიჯარო შემოსავლის ნაწილში და დაუსაბუთებელია პალატის მსჯელობა იჯარის ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში, ვინაიდან მიუღებელი შემოსავლის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილია მოპასუხე გ.დ-ძის ჩანაწერები ხ.კ-იასათვის გარკვეული დროის განმავლობაში საიჯარო ქირის გადახდის შესახებ. იჯარის თანხის გადახდის ფაქტი ასევე დაადასტურა საქმის განხილვისას დაკითხულმა ზ. მ-ძემ. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება გ. დ-ძისათვის საერთო (საზიარო) საკუთრების მიწის ნაკვეთიდან რეალურად ფართის გამოყოფა-გამიჯვნის შესახებ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციებს. მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონი, რომლითაც თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაყოფა არ დაიშვება. აღნიშნული კანონი ვრცელდება ე.წ «იტალიურ სახლებზე», რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორებმა უარი განაცხადეს თ. უ-ძის საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ საკასაციო პრეტენზიაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 2 ნოემბრის განჩინებით ა. უ-ძისა და ხ. კ-იას საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განჩინება გ. დ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა გ. დ-ძემ და მოითხოვა აღნიშნული განჩინების განმარტება. მან მიუთითა, რომ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის სრულყოფილად, გარკვევით ჩამოყალიბების შემთხვევაში, მას გარანტირებული ექნება შემდეგში მისი უფლებების დაცვა, იმის გათვალის-

წინებით, რომ ხ. კ-ია და ა. უ-მე ადასტურებენ, რომ განჩინება არ მიღებულია ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და საქმე თავიდან უნდა განიხილოს სააპელაციო სასამართლომ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს განმცხადებლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის სრულყოფილად, გარკვევით ჩამოყალიბების შემთხვევაში, მას გარანტირებული ექნება შემდეგში მისი უფლებების დაცვა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბუნდოვანი და გაურკვეველია გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილი. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 2 ნოემბრის განჩინებით ა. უ-მისა და ხ. კ-იას საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განჩინება გ. დ-მის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. აღნიშნული განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ნათლად და გარკვევით არის განსაზღვრული, რა ნაწილში გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება, ამდენად, იგი არ საჭიროებს დამატებით განმარტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. დ-მის განცხადება განჩინების განმარტების შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 262-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

გ. დ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 2 ნოემბრის განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **გადაწყვეტილების განმარტება**

#### **განჩინება**

<sup>1</sup> ას-1063-995-2010 20 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** კომლის წევრობის გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს „გ-მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე სს „შ-ს“ მიმართ და მოითხოვა 4000 ლარის სანაცვლოდ სს „გ-ს“ ტერიტორიაზე გამავალ სს „შ-ს“ კუთვნილი 520 გრძივი მეტრი რკინიგზის საკუთრებაში გადაცემა.

2007 წლის 13 ივნისს სს „ს-მ“ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სს „გ-სათვის“ კუთვნილი რკინიგზის სარგებლობაში ხელშეშლის აკრძალვა.

2007 წლის 18 სექტემბრის განჩინებით სს „გ-ს“ წარმომადგენლების შუამდგომლობა სასარჩელო განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდა – სს „გ-ს“ სარჩელი დარჩა განუხილველად და საქმის წარმოება გაგრძელდა სს «შ-ს» სარჩელზე სს „გ-ს“ მიმართ უკანონო ხელშეშლის, კუთვნილი რკინიგზის სარგებლობის აღკვეთის შესახებ.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით სს «შ-ს» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სს «შ-ს» დირექტორმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს «შ-ს» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სს «შ-ს» სარჩელი დაკმაყოფილდა, სს „გ-ს“ აკრძალა სს „ს-სათვის“ მისი კუთვნილი რკინიგზის ხაზით სარგებლობის ხელშეშლა, რომელიც გადის სს „გ-ს“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „გ-მ“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით სს «გ-ს» საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განხილველად.

2009 წლის 1 ივნისს სს «გ-ს» გენერალურმა დირექტორმა ზ. თ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტება, კერძოდ, განმარტება იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება რკინიგზის ხაზით სარგებლობაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივლისის განჩინებით სს «გ-ს» გენერალური დირექტორის ზ. თ-შვილის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სს «გ-მ» შეიტანა კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით სს «გ-ს» კერძო საჩივარი გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აგვისტოს განჩინებით სს «გ-ს» განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა, 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება განიმარტა იმგვარად, რომ სს «ს-სათვის» რკინიგზის ხაზით სარგებლობის ხელშეშლაში იგულისხმება სს «გ-ს» მიერ ნებისმიერი სახის ხელშეშლა, მათ შორის, გაატაროს რკინიგზის შემადგენლობა და ტვირთები, რკინიგზის ხაზის დემონტაჟში ხელშეშლა და ა.შ.

სააპელაციო პალატის მითითებით, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მოითხოვს განმარტებას და მიუთითა, რომ სასამართლომ უნდა განმარტოს, თუ რა იგულისხმება რკინიგზის ხაზით სარგებლობის ხელშეშლაში (გაატაროს რკინიგზის შემადგენლობა და ტვირთები, თუ სარგებლობაში იგულისხმება რკინიგზის ხაზის აღება სს «გ-ს» კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან და ა.შ.).

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი იცავს მესაკუთრის უფლებებს, რაც ასევე გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით.

განსახილველ შემთხვევაში, სს «ს-მ» სარჩელი აღძრა სწორედ იმ საფუძველით, რომ მოპასუხე სს «გ-ს» ხელს უშლის, ისარგებლოს მის საკუთრებაში არსებული რკინიგზის ხაზით.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოპასუხის მხრიდან უკანონო ხელშეშლა გამოიხატება იმაში, რომ ეს უკანასკნელი მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში არ უშვებს სს «ს-ს», რათა მოახდინოს მისი კუთვნილი რკინიგზის ხაზის დემონტაჟი. შესაბამისად, მოსარჩელე იმთავითვე სარჩელის ფაქტობრივ საფუძველად მიუთითებდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხის მხრიდან ხელშეშლა გამოიხატებოდა რკინიგზის ხაზის დემონტაჟის ხელშეშლაში.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ რკინიგზის ხაზით სარგებლობის ხელშეშლაში იგულისხმება მესაკუთრისათვის ნებისმიერი სახის ხელშეშლა, მათ შორის, გაატაროს რკინიგზის შემადგენლობა და ტვირთები, რკინიგზის ხაზის დემონტაჟში ხელშეშლა და ა.შ.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე სს «გ-მა» შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ სადავო გადაწყვეტილების გასაჩივრებული სახით განიმარტებით შეილახა მისი სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით განარტირებული მესაკუთრის უფლებები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ სს «გ-ს» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეებსა და აღმასრულებელს, მათი მოთხოვნისამებრ, განუმარტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანი დებულებები, რაც მიმართული უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების გამარტივებისაკენ და არ უნდა ცვლიდეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსს.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება განიმარტა იმგვარად, რომ სს «ს-სათვის» რკინიგზის ხაზით სარგებლობის ხელშეშლაში იგულისხმება სს «გ-ს» მიერ ნებისმიერი სახის ხელშეშლა, მათ შორის, გაატაროს რკინიგზის შემადგენლობა და ტვირთები, რკინიგზის ხაზის დემონტაჟში ხელშეშლა და ა.შ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილების ამგვარად განმარტებით დაირღვა სს «გ-ს», როგორც მესაკუთრის უფლებები, ვინაიდან მხარეს არ დაუსაბუთებია, თუ რაში გამოიხატა მისი უფლებების დარღვევა.

ამასთან, სავსებით დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო ნივთით სარგებლობის ხელშეშლაში მოიაზრება ნებისმიერი სახის ხელშეშლა, როგორცაა მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება, დემონტაჟი და სხვა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

სს «გ-ს» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **გადაწყვეტილების განმარტების დაუშვებლობა**

#### **განჩინება**

1ას-1026-962-2010

21 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 21 აპრილს თელავის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს გ. და ხ. შ-შვილებმა მოპასუხეებს: ლ. ჯ-შვილის, ნ. კ-შვილის, დ. კ-ძისა და ნოტარიუს ც. კ-შვილის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა. დ. ჯ-შვილსა და მოპასუხეებს (ლ. ჯ-შვილი, ნ. კ-შვილი, დ. კ-ძე) შორის 2004 წლის 3 ივნისს ნოტარიუს ც. კ-შვილის მიერ დადასტურებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა; ბ. ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის გაუქმება; გ. ნოტარიუსისათვის 2008 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი ნ. შ-შვილის სასარგებლოდ დედამისის – 1991 წლის 25 ივლისს გარდაცვლილი მ. ჯ-შვილის დანაშთ ქონებაზე (თელავში, ... ქ.120-ში მდებარე დ. ჯ-შვილის სახელზე რიცხული სახლის კუთვნილი წილის ნაწილზე, ავტომანქანა «ვოლგის» მისსავე წილსა და ანაბარზე) სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალება.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ხ. და გ. შ-შვილების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით გ. და ხ. შ-შვილების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განჩინებით გ. და ხ. შ-შვილების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით მოცემულ საქმეზე დამტკიცდა მორიგება ხ. შ-შვილს, გ. შ-შვილს, ლ. ჯ-შვილს, ნ. კ-შვილსა და დ. კ-ძეს შორის შემდეგი პირობებით: ხ. და გ. შ-შვილები თანხმობას აცხადებენ, სარჩელზე უარის თქმის სანაცვლოდ მათ სახელზე აღირიცხოს ლ. ჯ-შვილის, ნ. კ-შვილისა და დ. კ-ძის საკუთრებაში არსებული, თელავში, ... ქ.120-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3 თანაბარწილად, ხოლო აღნიშნული სახლის 2/3 დარჩეს ლ. ჯ-შვილის, ნ. კ-შვილისა და დ. კ-ძის საკუთრებაში; ლ. ჯ-შვილი, ნ. კ-შვილი და დ. კ-ძე თანხმობას აცხადებენ, ხ. და გ. შ-შვილების საკუთრებად თანაბარწილად აღირიცხოს მათ საკუთრებაში არსებული, თელავში, ... ქ.120-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3. მხარეთა შორის მორიგების გამო გაუქმდა აღნიშნულ საქმეზე თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება და საქმეზე შეწყდა წარმოება.

2009 წლის 24 დეკემბერს სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემომითითებულ გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2010 წლის 19 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართეს ლ. ჯ-შვილმა, დ. კ-ძემ, ც. კ-შვილმა და ნ. კ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინების განმარტება.

განმცხადებელთა განმარტებით, ზემოაღნიშნული განჩინების თანახმად, ლ. ჯ-შვილმა, ნ. კ-შვილმა და დ. კ-ძემ დათმეს მათ საკუთრებაში არსებული, ქ.თელავში, ... ქ.120-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3 და არა მთელი სახლთმფლობელობის 1/3. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგე მხარეები ეპატრონებიან მთელი სახლთმფლობელობის 1/3-ს. ამდენად, განმცხადებელთა მოსაზრებით, განჩინება უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ საცხოვრებელი სახლის 1/3 არ გულისხმობს წილს არასაცხოვრებელი ფართებიდან, ეზოდან თუ სხვა ქონებიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განჩინებით ლ. ჯ-შვილის, დ. კ-ძის, ც. კ-შვილისა და ნ. კ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლზე, რომელიც ამავე კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად გამოიყენება სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას და განმარტა, რომ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმეზე დგინდებოდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინება აღსრულებული იყო, კერძოდ, 2009 წლის 24 დეკემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე საჯარო რეესტრმა განახორციელა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შესაბამისი რეგისტრაცია. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების განმარტების მიზანი შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ მისი აღსრულების ხელშეწყობაში, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინება აღსრულებული იყო, არ არსებობდა ამ განჩინების განმარტების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ლ. ჯ-შვილმა, დ. კ-ძემ და ნ. კ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მორიგების დამტკიცების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინება არასწორად განმარტა საჯარო რეესტრმა, რამდენადაც მორიგებამ მოიცვა მხოლოდ საცხოვრებელი ბინის 1/3, საჯარო რეესტრის სამსახურმა კი შ-შვილებს დაურეგისტრირა მთლიანი სახლთმფლობელობის 1/3. საჯარო რეესტრის ეს გადაწყვეტილება მათ გაასაჩივრეს ჯერ გადაწყვეტილების გამომცემ თელავის სარეგისტრაციო სამსახურში, ხოლო უარის მიღების შემდგომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. იმის გამო, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახური არ იხილავდა მისი ზემდგომი უწყების

მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ ადმინისტრაციული სარჩელი შეიტანეს სასამართლოში. მითითებულ სარჩელზე დავა არ ამოწურულა.

რაც შეეხება განმარტებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული განჩინების მართლზომიერებას, კერძო საჩივრის ავტორები მას უკანონოდ მიიჩნევენ. აღნიშნული განჩინებით განმარტებაზე უარი მოტივირებულია იმ გარემოებით, რომ განსამარტი განჩინება აღსრულებულია, თუმცა, კერძო საჩივრის ავტორთა მითითებით, ეს არასწორია. ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას, ბინას კვლავ ფლობს ის პიროვნება, ვისზეც კერძო საჩივრის ავტორებმა იგი ოთხი წლის წინ გაასხვისეს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ჯ-შვილის, დ. კ-ძისა და ნ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. იგივე ნორმა იმპერატიულად ადგენს, რომ განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების უფლება არ გააჩნია შემდეგ შემთხვევებში: 1. თუ გადაწყვეტილება უკვე აღსრულებულია; 2. თუ გასულია ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულებულიყო. აქედან ერთ-ერთი პირობის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს არა აქვს უფლება, განმარტოს გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ ქ.თელავში, ... ქ.120-ში მდებარე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შესაბამისი რეგისტრაცია განხორციელებულია განსამარტი განჩინების – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებისა და აღნიშნულ განჩინებაზე 2009 წლის 24 დეკემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის (საქმე 128/1565-09) საფუძველზე. ამდენად, ამ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული პირობა, როდესაც გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების გამო დაუშვებელია მისი განმარტება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ჯ-შვილის, დ. კ-ძისა და ნ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **გადაწყვეტილების განმარტება**

#### **განჩინება**

1ას-659-618-2010

14 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა, ზიანის ანაზღაურება, საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა



### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ნ-შვილმა, რ. და ვ. ბ-შვილებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ. გ-ვასა და მ. ა-ვის მიმართ ქ.თბილისში, ... ქ.16-ში მდებარე 62,74 კვ.მ-დან მოსარჩელეთა მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრისათვის სადგომის საბაზრო ღირებულების 10%-ის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრების უფლების გადაცემის, აგრეთვე, მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი სათავისა და საერთო სარგებლობაში არსებული სველი წერტილების აღსადგენად ზიანის – 1220 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძველით: რ. ბ-შვილი და ნ. ნ-შვილი არიან მეუღლეები, ვ. ბ-შვილი კი – მათი შვილი. 1980 წელს დ. ა-ვთან დადებული შინაურული ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელები ფლობენ ქ.თბილისში, ... ქ.16-ში/სართიჭალის ქ.136-ში მდებარე ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე მდებარე საცხოვრებელ ბინას. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, მესაკუთრემ სადავო ბინა რ. ბ-შვილს მიჰყიდა 12 000 მანეთად მუდმივი, ე.წ. „ატსტუპნოით“. აღნიშნული ხელშეკრულება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შეფასებულია როგორც მხარეთა შორის საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება. სადავო ბინის მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარჩელისათვის კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე. საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება შეადგენს 46133 აშშ დოლარს (სულ – 62,74 კვ.მ, 1 კვ.მ-ის ღირებულებაა 635 აშშ დოლარი), რასაც უნდა გამოაკლდეს მოსარჩელეთა მიერ სადგომის არსებითად გაუმჯობესებისათვის დახარჯული 23 921 აშშ დოლარი.

მოპასუხე მხარემ შეგებებული სარჩელი აღძრა ნ. ნ-შვილის, რ. და ვ. ბ-შვილების მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ქ.თბილისში, ... ქ.16-ში მდებარე მოპასუხეთა მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა მესაკუთრის მიერ სადგომის (44,38 კვ.მ-ის) საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ შემდეგი მოტივებით: ქ.თბილისში, ... ქ.116-ში მდებარე ბინა ეკუთვნის მ. გ-ვას. 1980 წლიდან მოპასუხეები, სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული გარიგების თანახმად, ფლობენ და სარგებლობენ ბინის ნაწილით. მესაკუთრის მიერ სადავო სადგომის 75%-ის გადახდის სანაცვლოდ მოპასუხეთა მფლობელობა უნდა შეწყდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. ბ-შვილის, რ. ბ-შვილის, ნ. ნ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მ. გ-ვას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა – ვ., რ. ბ-შვილსა და ნ. ნ-შვილს შეუწყდათ მფლობელობა, ქ.თბილისში, ... ქ.116-ში მდებარე მათ მიერ დაკავებულ 62,74 კვ.მ საცხოვრებელ სადგომზე მოსარჩელე (მესაკუთრე) მ. გ-ვას მიერ მათთვის ფართის საბაზრო ღირებულების 75%-ის, კერძოდ, 29,880 აშშ დოლარის, გადახდის სანაცვლოდ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ნ-შვილმა, რ. და ვ. ბ-შვილებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის განჩინებით რ., ვ. ბ-შვილსა და ნ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ.თბილისში, ... ქ.116-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სადგომი საკუთრების უფლებით ირიცხება მ. გ-ვას სახელზე. რ., ვ. ბ-შვილი და ნ. ნ-შვილი სადავო საცხოვრებელ სადგომს კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობენ 1980 წლიდან და მათი მფლობელობის უფლების საფუძველია სადგომის მაშინდელ მესაკუთრე დ. ა-ვთან საცხოვრებელ სადგომზე სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ დადებული გარიგება, რაც დადგენილია თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 25 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

სსიპ «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» ექსპერტის 2009 წლის 18 მაისის 11087/18/19 დასკვნით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ., ვ. ბ-შვილისა და ნ. ნ-შვილის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საერთო ფართობი 62,74 კვ.მ, მათ შორის – 3,65 კვ.მ სარდაფი. ნ. ნ-შვილმა, რ. და ვ. ბ-შვილებმა საცხოვრებელ სადგომს ჩაუტარეს სამშენებლო-სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები. სსიპ «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2008 წლის 27 მარტის ექსპერტიზის 13 407/15 დასკვნის შესაბამისად, 2006 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სადავო საცხოვრებელი სადგომის სარემონტო სამუშაოების საბაზრო ღირებულება შეადგენს 3177,80 ლარს, ხოლო 1980-81 წლებში, მოსარჩელე ნ. ნ-შვილის მითითებით, ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საბაზრო ღირებულებაა 35 227,30 ლარი. კედლების ჰიდროიზოლაციური დამუშავებისათვის დაიხარჯა 635 აშშ დოლარი, ეზოს ჭიშკრის დამზადებისათვის – 465 ლარი, ... ქუჩიდან ბინაში შესასვლელი კარის გადახურვის კარკასის დამზადება-დამონტაჟებისათვის – 215 ლარი.

სსიპ «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2009 წლის 18 მაისის ექსპერტის 11087/18/19 დასკვნით, სადავო საცხოვრებელი 1 კვ.მ სადგომის საორიენტაციო საბაზრო ღირებულებად განსაზღვრულია 635 აშშ დოლარი.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებას და დაუსაბუთებლად მიიჩნია ნ. ნ-შვილის მითითება, რომ მის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოები წარმოადგენს არსებით გაუმჯობესებას, რის გამოც სასამართლომ არასწორად განსაზღვრა საკომპენსაციო თანხის ოდენობა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა საკომპენსაციო თანხის ოდენობა და სწორად განმარტა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლი. აღნიშნული ნორმა არ იძლევა არსებითი გაუმჯობესების დეფინიციას და იგი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რისთვისაც მნიშვნელოვანია, უდავოდ დადგინდეს ნივთის თავდაპირველი მდგომარეობა და შეფასდეს, ჩატარებული სამუშაოებით არსებითად შეიცვალა თუ არა ნივთის სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულება.

მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დაადგინა, რომ მოსარგებლებმა დაკავებულ ფართს ჩაუტარეს სარემონტო, კეთილმოწყობის სამუშაოები. ამასთან, მესაკუთრეს მოსარგებლეთა მიერ დაკავებული ფართის გარემონტება სადავოდ არ გაუხდია.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები, რომ მოსარგებლების მიერ ჩატარებული სამუშაოები არ წარმოადგენენ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ არსებით გაუმჯობესებას და აღნიშნა, რომ აპელანტების მიერ განხორციელებული სამუშაოები აისახა ფართის საბაზრო ღირებულებაზე, რაც სრულად იქნა გათვალისწინებული საქესპერტო შეფასებისას და საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისას.

«საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის «ა» პუნქტისა და მე-2 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებობს საცხოვრებელ სადგომზე სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სწორად გამოიყენა ზემოაღნიშნული ნორმა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ მესაკუთრე გადახდისუუნაროა, რაც გამორიცხავს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას. პალატის მითითებით, მესაკუთრემ განახორციელა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზაცია, წარადგინა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა მოსარგებლისათვის დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ. შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს, რამდენად გადახდისუუნარიანია მესაკუთრე. კანონმდებელი უპირატესობას ანიჭებს მესაკუთრის მიერ გამოხატულ ნებას, რაც გამორიცხავს მოსარგებლეთა სარჩელის დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. ნ-შვილმა, რ. და ვ. ბ-შვილებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სადავო საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა მესაკუთრისათვის სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და საერთოდ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლი დადგენილ ვადაში მოპასუხეების მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო და 96-ე მუხლის დარღვევით აღუდგინა შესაგებლის წარდგენის ვადა მოპასუხე მ. გ-ვას წარმომადგენელს, რომელიც შესაგებლის შესატანად დადგენილ პერიოდში – 2008 წლის 1 ივლისიდან 11 ივლისამდე არ იყო მოპასუხის უფლებამოსილი წარმომადგენელი და კანონით დადგენილი წესით გაფორმებული უფლებამოსილება, რომელიც გაშვებულ ათდღიან ვადაზე გავრცელდებოდა, მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია. მინდობილობა მხარესა და წარმომადგენელს შორის გაფორმდა შესაგებლის წარდგენის ვადის გაშვებიდან 11 დღის გასვლის შემდეგ. ვადის აღდგენისას სასამართლო დაეყრდნო ადვოკატის ახსნა-განმარტებას, რომლის მიხედვით იგი ადასტურებდა, რომ ნამდვილად იყო მ. გ-ვას წარმომადგენელი. ამდენად, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა.

სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 31 მარტის საინჟინრო კვლევის დასკვნა საცხოვრებელი სადგომის გაუმჯობესებისათვის კასატორის მიერ გაწეული ხარჯების შესახებ, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები და არასწორად განსაზღვრა საკომპენსაციო თანხა.

სააპელაციო პალატას ეჭვქვეშ არ დაუყენებია კასატორის მიერ ჩატარებული სამუშაოების ნამდვილობა და ექსპერტიზის დასკვნა მისი საბაზრო ღირებულების თაობაზე. მიუხედავად ამისა, ფუნდამენტური სახის სამუშაოები საცხოვრებელი სადგომის არსებით გაუმჯობესებად არ ჩათვალა და მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ გაწეული სადგომის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები წარმოადგენს იმგვარ გაუმჯობესებას, რომელთა გათვალისწინება ხდება სადგომის საბაზრო ღირებულების დადგენისას და ვერ შეფასდება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ არსებით გაუმჯობესებად. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლი კონკრეტულად არ განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საცხოვრებელი სადგომის არსებით გაუმჯობესებად.

კასატორის მიერ ჩატარებული სამშენებლო-გამაგრებითი, სარეკონსტრუქციო, კეთილმოწყობისა და კაპიტალური რემონტების ხარჯების ცალკე დაანგარიშების აუცილებლობა გამოწვეულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლით, რომელიც არასწორად იქნა განმარტებული პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ. აღნიშნული ნორმის მიხედვით, მოსარგებლის მიერ გაწეული ხარჯები სრული ოდენობით ეკუთვნის მოსარგებლეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარგებლის მიერ გაწეული ხარჯებიდან მესაკუთრეს პროცენტი არ ეკუთვნის. ამდენად, კასატორის მიერ მესაკუთრისათვის საკომპენსაციო თანხის, საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25% უნდა გამოითვალოს საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულებისა და კასატორის მიერ ბინის არსებით გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების სხვაობიდან – 15761 აშშ დოლარიდან, რაც 3940 აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 1 ნოემბრის განჩინებით ნ. ნ.-შვილის, რ. და ვ. ბ.-შვილების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის განჩინება საცხოვრებელი სადგომის ღირებულების განსაზღვრის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის განჩინება დარჩა უცვლელად.

ნ. ნ.-შვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ნოემბრის განჩინების უსწორობის გასწორება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ნ. ნ.-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 1 ნოემბრის განჩინების უსწორობის გასწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2011 წლის 18 იანვარს ნ. ნ.-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება, ვინაიდან იგი ბუნდოვანად მიიჩნია. ბუნდოვანია განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მეორე წინადადება საცხოვრებელი სადგომის ღირებულების განსაზღვრის ნაწილში. კერძოდ, განჩინებაში მითითებულია, რომ სადავო საცხოვრებელი სადგომის ღირებულება განსაზღვრულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, იგი არ გასაჩივრებულა ამ ნაწილში და შევიდა კანონიერ ძალაში, შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულზე არ უმსჯელია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ნ.-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ნოემბრის განჩინების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი განცხადება განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე.

ზემოხსენებული ნორმა მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის შეუცვლელად მის იმგვარ განმარტებას, რომ იგი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს მხარეთათვის და ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების სწორად აღსრულებას. ამდენად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება ობიექტურად საჭირო და დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მხარე ან აღმასრულებელი დაასაბუთებს, რომ სხვაგვარად მისი შინაარსი შესაძლოა გაგებულ და აღსრულებულ იქნეს არასწორად.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბებულია ნათლად, და მისი განმარტების საჭიროება არ არსებობს. საკასაციო პალატის განჩინებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა რა ნ. ნ.-შვილის საკასაციო საჩივარი, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება საცხოვრებელი სადგომის ღირებულების განსაზღვრის ნაწილში. განჩინების სამოტივაციო ნაწილში ზუსტად არის განსაზღვრული საკასაციო სასამართლოს მითითებები, რომლებსაც საფუძვლად დაედო სწორედ კასატორის პრეტენზია მოსარგებლის მიერ უძრავ ნივთზე განხორციელებულ არსე-

ბითი ხარჯების ანაზღაურების კანონიერების თაობაზე. ამდენად, განჩინების განმარტების საჭიროება არ არსებობს, რაც ნ.ნ-შვილის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე და 284-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ნ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 1 ნოემბრის განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გადაწყვეტილების განმარტება**

**განჩინება**

1ა-75-გან-1-2011 18 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ნ. კვანტალიანი

**განხილვის საგანი:** საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინების განმარტება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 22 აგვისტოს თელავის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს ს., ე. და ნ. თ-შვილებმა მოპასუხეების – დ. თ-შვილისა და ნოტარიუს ც. კ-შვილის მიმართ და მოითხოვეს: ა) ი. თ-შვილის დანაშთ ქონებაზე, თელავში, ... ქ. 115-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6-ზე 2006 წლის 25 დეკემბერს დ. თ-შვილის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება; ბ) საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ს., ე. და ნ. თ-შვილების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ი. თ-შვილის დანაშთ ქონებაზე – თელავში, ... ქ. 115-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6-ზე 2006 წლის 25 დეკემბერს დ. თ-შვილის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა ბათილად იქნა ცნობილი დანაშთი ქონების 2/3-ზე; საჯარო რეესტრის ჩანაწერში: სარეგისტრაციო ზონა – თელავი, კოდი 53, სექტორი ქ. თელავი, კოდი 17, კვარტალი 112, ნაკვეთი 1012, ფართობი – დაზუსტებული 1250 კვ.მ, ნაკვეთის მისამართი – თელავი, ... ქ. 115, საერთო საკუთრება, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი, შევიდა შესაბამისი ცვლილება და რეგისტრაცია გაუქმდა დ. თ-შვილზე აღრიცხული საერთო ფართის 2/6-ის 2/3-ზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. თ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ს., ე. და ნ. თ-შვილების სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ს., ე. და ნ. თ-შვილების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ი. თ-შვილის დანაშთ ქონებაზე – თელავში, ... ქ. 115-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6-ზე 2006 წლის 25 დეკემბერს დ. თ-შვილის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა ბათილად იქნა ცნობილი დანაშთი ქონების 1/2-ზე; საჯარო რეესტრის ჩანაწერში: სარეგისტრაციო ზონა – თელავი, კოდი 53, სექტორი ქ. თელავი, კოდი 17, კვარტალი 112, ნაკვეთი 1012, ფართობი – დაზუსტებული 1250 კვ.მ, ნაკვეთის მისამართი – თელავი, ... ქ. 115, საერთო საკუთრება, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი, შევიდა შესაბამისი ცვლილება და რეგისტრაცია გაუქმდა დ. თ-შვილზე აღრიცხული საერთო ფართის 2/6-ის 1/2-ზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ს., ე. და ნ. თ-შვილებმა (წარმომადგენელი ა. ლ-ია), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინებით მოცემულ საქმეზე დამტკიცდა მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. კასატორები: ს., ნ. და ე. თ-შვილები (წარმომადგენელი ა. ლ-ია) თანხმობას აცხადებენ, მოწინააღმდეგე მხარე დ. თ-შვილს (წარმომადგენელი ლ. ჩ-შვილი) სადავო ფართის (ქ. თელავში, ... '15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6) სანაცვლოდ გადაუხადონ მთლიანობაში 12 000 აშშ დოლარი. ამ თანხიდან 5 000 აშშ დოლარს მხარეები (კასატორები) გადაუხდიან დ. თ-შვილს არაუგვიანეს 2010 წლის 31 დეკემბრისა, ხოლო დანარჩენ თანხას – 7 000 აშშ დოლარს კასატორები მოწინააღმდეგე მხარეს გადაუხდიან არაუგვიანეს 2013 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით;

2. მოწინააღმდეგე მხარე დ. თ-შვილი მორიგების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში უარს ამბობს სადავო ქონებაზე და ადასტურებს ხელმოწერით, რომ პრეტენზია აღარ ექნება კასატორებთან ქ.თელავში, ... '15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6-ზე;

3. მას შემდეგ, რაც კასატორები სრულად გადაუხდიან დ. თ-შვილს პირველ პუნქტში მითითებულ თანხას (12 000 აშშ დოლარს), სადავო ქონება, მდებარე ქ.თელავში, ... '15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6, მთლიანად გადავა კასატორების – ს., ე. და ნ. თ-შვილების სახელზე და აღირიცხება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, როგორც მათი საკუთრება. აღნიშნული ვალდებულების შესრულებამდე სადავო ქონებაზე არსებული ყადაღა რჩება ძალაში.

მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდა ამ საქმეზე მიღებული ქვედგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდა საქმის წარმოება. განჩინებით მხარეებს განემარტათ, რომ სასამართლოსათვის ხელმოწერედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლებოდა. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდებოდა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

2011 წლის 12 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა დ. თ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება.

განმცხადებლის მითითებით, მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილია, რომ კასატორები (ს., ნ. და ე. თ-შვილები) გადაიხდიან მთლიანობაში 12 000 აშშ დოლარს 2013 წლის აგვისტოს ჩათვლით, რის შემდგომაც სადავო ქონება, თელავში, ... '15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6 მთლიანად გადავა კასატორების საკუთრებაში და საჯარო რეესტრში აღირიცხება მათ საკუთრებად.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ამჟამად არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი სახლი, ხოლო განჩინებაში მითითებული თანხის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სრულად გადახდამდე დარჩენილია ორ წელიწადზე მეტი დრო. ასეთ ვითარებაში, დ. თ-შვილი ითხოვს სასამართლომ მას განუმარტოს, აქვს თუ არა უფლება, თანხის მისთვის სრულად ანაზღაურებამდე (სანამ მოწინააღმდეგე მხარისაგან ასანაზღაურებელი თანხით არ მიეცემა საცხოვრებელი ფართის შეძენის შესაძლებლობა), ისარგებლოს ზემომითითებული ფართით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა დ. თ-შვილის განცხადება და მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულების განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

ამ ნორმის თანახმად, მხარეს ან სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია მოითხოვოს გადაწყვეტილების განმარტება იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია, არაა გასაგებად ჩამოყალიბებული, ან შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ამდენად, გადაწყვეტილების განმარტების მიზანია ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების აღსრულებას. ამასთან, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების განმარტებამ არ უნდა გამოიწვიოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლა.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება, რომლის განმარტებასაც ითხოვს განმცხადებელი, ჩამოყალიბებულია ნათლად და გარკვევით, არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. შესაბამისად, მითითებული გადაწყვეტილების განმარტების საჭიროება არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გადაწყვეტილების განმარტება უნდა მოხდეს იმ საკითხზე, რომელიც წარმოადგენდა სასამართლო განხილვის საგანს და რომელზედაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს განხილვის საგანი არ ყოფილა განმცხადებლის მიერ დასმული საკითხი და ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილების იმგვარად განმარტება, როგორც ამას განმცხადებელი მოითხოვს, გამოიწვევს საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლას, რაც დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დ. თ-შვილის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. თ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**5. განჩინების აღსრულების გადადება**

**განჩინება**

1ას-950-1153-08 15 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. შ-ევამ სარჩელი აღმრა სასამართლოში ნ. მ-ავასა და ნოტარიუს ე. შ-შვილის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლ. შ-ევას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. შ-ევამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განჩინებით ლ. შ-ევას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ლ. შ-ევამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის განჩინებით მხარეებს შორის დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით:

ნ. მ-ავამ თანხმობა განაცხადა, ლ. შ-ევას გადაუხადოს არაუგვიანეს 2009 წლის 10 მაისისა 5000 აშშ დოლარი, რომელშიც შედის ვალი – 2000 აშშ დოლარი; ლ. შ-ევა 5000 აშშ დოლარის მიღებიდან 2 კვირაში ვალდებულია, დაცალოს ქ. თბილისში, ... 123-ში მდებარე უძრავი ქონება და თავისუფალ მდგომარეობაში გადასცეს ნ. მ-ავას; ნ. მ-ავას მიერ 5000 აშშ დოლარის გადაუხდელობის შემთხვევაში გადასახდელი თანხა დაერიცხება პირგასამტეხლო – გადასახდელი თანხის 0.1% – ყოველ ვადაგადცილებულ დღეზე, მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო შეწყდა საქმის წარმოება და გაუქმდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა ნ. მ-ავამ და მოითხოვა აღნიშნული განჩინების აღსრულების გადადება 2 თვით. მან მიუთითა, რომ ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროდან მიიღო წერილი განჩინების აღსრულების შესახებ. მისთვის მოულოდნელი იყო აღნიშნული, ვინაიდან ლ. შ-ევა დღემდე ცხოვრობს მის კუთვნილ ბინაში და არ მოუთხოვია იქიდან გამოსახლება. მას სჭირდება დრო ლ. შ-ევასთან მოსალაპარაკებლად და თანხის გადასახდელად.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო განცხადებას და მიაჩნია, რომ ნ. მ-ავას განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე, შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნ. მ-ავას არ წარმოუდგენია თავისი ქონებრივი ან სხვა მდგომარეობის დამამტკიცებელი დოკუმენტი, რის საფუძველზე საკასაციო პალატა მიზანშეწონილად ჩათვლიდა განჩინების აღსრულების გადადებას. განცხადებიდან არ ირკვევა კონკრეტული გარემოება იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე უნდა მოხდეს აღსრულების გადადება. მხოლოდ მხარესთან მოლაპარაკების მიზნით აღსრულების გადადება საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნ. მ-ავას განცხადება განჩინების აღსრულების გადადების შესახებ უსაფუძველოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 262-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. მ-ავას განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის განჩინების აღსრულების გადადების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**6. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა**

**განჩინება**

1ას-983-1262-08

14 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

**დავის საგანი:** ალიმენტის გადახდა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბ. გ-შვილმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში ა. მ-ძეს მიმართ და მოითხოვა ალიმენტის დაკისრება. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1994 წლის 17 აპრილიდან 2003 წლის 25 ივლისამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ა. მ-ძესთან. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით ისინი განქორწინდნენ. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი – ქ. მ-ძე და ნ. მ-ძე. განქორწინების დროს მას არ მოუთხოვია ალიმენტის დაკისრება, ვინაიდან თვლიდა, რომ მოპასუხე თავს არ აარიდებდა შვილების რჩენას. ა. მ-ძე მონაწილეობას არ იღებს შვილების რჩენა-აღზრდაში, რის გამოც იგი მოითხოვს ალიმენტის დაკისრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ბ. გ-შვილის სარჩელი ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა – მოპასუხე ა. მ-ძეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილების – ქ. მ-ძესა და ნ. მ-ძეს სასარგებლოდ ალიმენტის – 100-100 ლარის გადახდა ყოველთვიურად, სულ 200 ლარი სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2009 წლის 28 მაისიდან მათ სრულწლოვანებამდე.

მოსარჩელე ბ. გ-შვილმა და მოპასუხე ა. მ-ძემ ხელწერილით დაადასტურეს, რომ ისინი არ ასაჩივრებენ აღნიშნულ გადაწყვეტილებას და თანახმა არიან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის თანახმად, შემოიფარგლონ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით დასაბუთების გარეშე.

2009 წლის 20 ივლისის აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ა. მ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს განჩინებით ა. მ-ძეს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. მ-ძემ. მან მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში სხდომაზე მას მოაწერინეს ხელი უწყებაზე და არასწორად განუმარტეს, რომ აღნიშნულ უწყებაზე ხელის მოწერით უნდა დაედასტურებინა თავისი გამოცხადება სასამართლოში. როგორც შემდეგში გაირკვა, აღნიშნული უწყება ეხებოდა არა სასამართლოში გამოცხადებას, არამედ გასაჩივრებაზე უარის თქმას. მას სასამართლომ მოუსპო უფლება, გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. სააპელაციო

სასამართლომ კი იმ მოტივით, რომ მას უარი ჰქონდა ნათქვამი გასაჩივრებაზე, მისი სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად, რაც არასწორია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ა. მ-მ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეები მოითხოვენ გადაწყვეტილებას დასაბუთების გარეშე იმ მოტივით, რომ ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, სასამართლოს შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით. მოსამართლე ეკითხება მხარეებს, სურთ თუ არა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და ასაჩივრებენ თუ არა მოცემულ გადაწყვეტილებას. თუ მხარეები უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, მათ ასეთი განცხადება უნდა დაადასტურონ თავიანთი ხელმოწერით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის პირობები. მითითებული მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე ხ. გ-მვიღმა და მოპასუხე ა. მ-მ წერილობით განაცხადეს უარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე და დაეთანხმნენ სასამართლოს, შემოფარგლულიყო მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით.

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ა. მ-მ უარი თქვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, მას უფლება არა აქვს, გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა ა. მ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ა. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 31 აგვისტოს განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **7. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები**

#### **განჩინება**

1ას-838-787-2010

2 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 11 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ა. კ-ვამ მოპასუხე ი. ვ-მის მიმართ და მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება 20 000 ლარის ოდენობით.



ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. კ-ავას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. ვ-ძეს ა. კ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის სახით 10 580 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ი. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ა. კ-ავას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება, ი. ვ-ძეს ა. კ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა 7175 ლარის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ვ-ძემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2010 წლის 30 ივნისს ა. კ-ავას წარმომადგენელმა თ. ი-ძემ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა იმ საფუძველით, რომ, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, ა. კ-ავას არ გააჩნია საშუალება საჭირო სასწრაფო ოპერაციის გასაკეთებლად და მკურნალობის ხარჯების დასაფარად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის განჩინებით ა. კ-ავას წარმომადგენელ თ. ი-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლზე და განმარტა, რომ მითითებული მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას მხარეთა თხოვნით, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება გადასცეს მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლად აღსასრულებლად.

ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ ა. კ-ავას ზიანი მიადგა ი. ვ-ძის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად და რომ ა. კ-ავას მკურნალობის ხარჯები ნაწილობრივ ჰქონდა გადასახდელი და ესაჭიროებოდა ოპერაცია. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზარალი, რაც გადაწყვეტილების დაყოვნებით მიიღება, სწორედ იმ თანხას წარმოადგენდა, რომელიც მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული ჰქონდა მოპასუხე მხარეს (7175 ლარი). შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იყო, გადაწყვეტილება მიქცეულიყო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, რის გამოც ა. კ-ავას წარმომადგენლის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. ვ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის საკითხის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილვასა და გადაწყვეტას, რამდენადაც მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ იცოდა, რომ მის საკუთრებაში არსებული ქონება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული იყო, ასევე ცნობილი იყო ისიც, რომ თავისი და მის მიმართ აწარმოებდა დავას მითითებულ უძრავ ქონებაზე მათ შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ და ყადაღისაგან გათავისუფლებაზე და იმ შემთხვევაში, თუ თავისი დის სასარგებლოდ გადაწყდება დავა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებით მას პირდაპირი ზიანი მიადგება, ვინაიდან ასანაზღაურებელი ექნება ა. კ-ავასათვის თანხა და ასევე დისთვის ფულადი კომპენსაცია ქონების სანაცვლოდ. გარდა ამისა, იგი სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლომ არ მოითხოვა მოსარჩელისაგან გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ განჩინების მიღების მომენტისათვის შეუძლებელი იყო იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შესაძლებელია მოპასუხეს მიადგეს და არ იქნა გარკვეული, მეორე მხარე შეძლებდა თუ არა ზიანის ანაზღაურებას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების პირობებში, სასამართლომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა მაინც დაუშვა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ნანა შენგელიას კერძო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილება დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მითითებული მუხლის საფუძველზე, გასაჩივრებული განჩინებით დააკმაყოფილა ა. კ-ავას წარმომადგენლის შუამდგომლობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე;

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 დეკემბრის განჩინებით ი. ვ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ი. ვ-ძეს ა. კ-ავას სასრგებლოდ დაეკისრა 7175 ლარის გადახდა, მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

ამდენად, მოცემულ საქმეზე წარმოება დასრულებულია, ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მისი აღსრულება შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს და, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ი. ვ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის განჩინება;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.